რუსეთის სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 29 ივლისი 1917 წ.

ერთობა

„თანამედროვე აზრის" გაგრძელება

ფასი 10 კაპ.

გაზეთის ფასი: მთელი წლით—20 მ., ნახევარი წლით—11 მან., 3 თვით 6 მან. ერთი თვით—2 მან. ცალკე ნომერი ყველგან 10 კაპ. და სადგურებზე [illegible] წერტ. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—80 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება [illegible] 5 მანეთი [illegible]—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ ხელნაწერებს რედაქცია არ ინახავს. ავტორებს [illegible] და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას [illegible].

ხელის მომწერლებმა ფული შეიძლება ფოსტით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Вохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს.-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 109 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 109

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების
თფილისის განყოფილების გამგეობა
აუწყებს წევრთ და საზოგადოებას განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის
ანასტასია ალექსანდრეს ასულის
ქნ. მაჩაბლის
გარდაცვალებას. გამოსვენება ქვაშვეთის ეკლესიიდან და დაკრძალვა ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე მოხდება შაბათს, 29 ივლისს.

დღეს, 29 ივლისს, საღამოს 7 საათზე,
მესამე სამოწყალებლო განყოფილების შენობაში (ტურგენევის ქუჩაზე) დანიშნულია
რ. ს.-დ. მ. პ. მე-9 სამილიციო უბნის საარჩევნო კომიტეტის წევრების
საზოგადო კრება
ვთხოვთ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ.

სავალდებულო დადგენილება
თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტისა

დროებით მთავრობის ამა წლის 30 მარტის დებულების მე 13 § თანახმად, თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა: აიკრძალოს თფილისის გუბერნიის საზღვრებში პურისა და ქერის ხორბლის კერძო პირთა მიერ სყიდვა-გასყიდვა და გატანა ამ ნაწარმოებისა იმ ადგილებიდან, სადაც მოდის.

სყიდვა ამ ნაწარმოებისა დაევალოს ადგილობრივ სასურსათო კომიტეტს.

თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტი.

თავმჯდომარე ნ. ზ. ელიავა, მდივანი ა. პ. აფონსკი.

კანტორა
„განათლება"
ამ დღეებში პეტროგრადიდან მიიღებს სხვა და სხვანაირ
დიდძალ რევოლიუციონურ შინაარსის ლიტერატურას.
ვინც გამოიწერს არა ნაკლებ 30 მან. წიგნებს, იმათ დაეთმობათ მანეთზე 15 კაპ.

პარტიის ყველა წევრთა და თანამგრძნობთა მიმართ.

კვირას, 30 ივლისს თფილისის ქალაქის თვითმართველობის ბედი უნდა გადაწყდეს. პლუტოკრატია და მისი მოკავშირენი ირაზმებიან. მათი გამარჯვება დემოკრატიის დასამარება იქნება. ეს შეუძლებელია, უკეთუ თქვენ ამოძრავდებით და მთელ დემოკრატიას აღყოლიებთ. შაბათს და კვირას ყველა თქვენგანი მოვალეა ქუჩებში გამოვიდეს და სოციალდემოკრატიის სასარგებლოთ აგიტაცია გააჩაღოს და ამომრჩეველთ სწორი გზა უჩვენოს. გამარჯვება თუ დამარცხება სავსებით თქვენს მოქმედებაზე ჰკიდია. ყველა თქვენგანმა მთელი თავისი ძალღონე პარტიის გამარჯვებას უნდა შესწიროს.

გაეშურეთ საარჩევნო ყუთებისაკენ! გააჩაღეთ აგიტაცია!

გაუმარჯოს სოციალდემოკრატიულ პარტიას, ძირს პლუტოკრატია!

ეცადეთ ხმა მისცენ სიას № 1-ს.

თფილისის კომიტეტი რუს. სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიისა.

პლუტოკრატიის დასაფლავების წინა დღით.

ხვალ თფილისის პლუტოკრატიული საბჭო უნდა დავასაფლაოთ. ორმოცი და წელია, რაც პლუტოკრატია გაბატონებული იყო ქალაქის თვითმართველობაში. მთელი მისი მოღვაწეობა ხალხის აშკარათ ძარცვას მოასწავებდა.

მეფის ტახტის დაცემით პლუტოკრატიულ საბჭოსაც წესი აგო. რევოლიუციონურმა დემოკრატიამ ქალაქის თვითმართველობაც ახალ საფუძველზე ააგო. აღსრულდა ის, რისთვისაც ასე თავგამოდებით იბრძოდა სოციალდემოკრატიული პარტია. მაგრამ პლუტოკრატია არ ცხრება, ის იარაღს არ ყრის და საარჩევნო ხრიკებით და მოკავშირეთა მოძებნით ლამობს თვითმართველობაში ძველებურათ გაბატონებას.

ამხანაგებო და მოქალაქენო! დემოკრატიული საქმე საფრთხეშია. პლუტოკრატია და მისი მოკავშირენი ყოველი ძალღონით ცდილობენ თქვენი დაუღალავი ბრძოლით მოპოვებული ცენზ-სიმაგრის ისევ უკან დაბრუნებას. თუ მათ ეს შეეძლოს, ქალაქი კონტრ-რევოლიუციის ბუდეთ გადაიქცევა და დემოკრატიას ძლიერი მოწინააღმდეგე მოევლინება. ეს იქნება მშრომელი ხალხის წაფორხილება, ხოლო ბურჟუაზიისა და რეაქციონერთა გაძლიერება.

დღეს დიადი წუთია. დღეს მთელი დემოკრატია უნდა დაიძრას და მოწინააღმდეგეს შესაფერი პასუხი გასცეს. თუ თქვენ უკან ჩამორჩებით, თუ თქვენ საკმაო პოლიტიკურ სიმწიფეს ვერ გამოიჩენთ, დემოკრატიის საქმე დაიღუპება და პლუტოკრატია და მისი მოკავშირენი ხელიდან გამოგვგლეჯენ რევოლიუციით მოპოვებულ დემოკრატიულ თვითმართველობას.

გადახედეთ სხვადასხვა პარტიებს და ჯგუფებს, რომელნიც მეორე ბანაკში იმყოფებიან. კადეტები და დაშნაკელები, სოციალისტ-რევოლუციონერები და წვრილ ერთა ნაციონალისტები, მთელი პლუტოკრატიული პრესა „კავკაზსკოე სლოვო"-ს და „ტიფლისკი ლისტოკი"-ს მეთაურობით, ყველა ჩვენს წინააღმდეგ გამოდის და ამა თუ იმ გზით პლუტოკრატიულ ლაშქარს ავსებს და აძლიერებს.

მოქალაქენო! სოციალ-დემოკრატიის გამარჯვება თქვენი გამარჯვება იქნება, მისი დამარცხება რევოლიუციის დასამარების დასაწყისად გადაიქცევა. ყველა თქვენგანი დემოკრატიის გასამარჯვებლათ უნდა ამხედრდეს. ნაციონალური პარტიები დაშნაკცუტუნის მეთაურობით ბევრ თქვენგანს ემუქრებიან და დაპირებებით მოითხოვენ ხმა მათ მისცეთ.

არ წამოეგოთ ნაციონალისტთა ანკესზე. მათი მუქარა ლიტონი სიტყვაა, მათივე უძლურებით გამოწვეული. დაშნაკცუტუნმა კარგათ იცის, რომ ფეხქვეშ ნიადაგი გამოეცალა და ამიტომაც არავითარ საშუალებას არ ერიდება, ოღონდ პლუტოკრატიას გამარჯვება მოუპოვოს და მისგან ახალი საჩუქარი მიიღოს.

პლუტოკრატია ირაზმება. დეე, მის საწინააღმდეგოთ მთელი დემოკრატია ამხედრდეს და მას სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს.

ხვალ დემოკრატიის წინააღმდეგ მთელი პლუტოკრატიულ-ნაციონალისტური თფილისი გამოვა. არ შედრკეთ. თქვენი ბრძოლაში გამოწრთობილი მარჯვენა თავდებია დემოკრატიის გამარჯვებისა და პლუტოკრატიის დასამარების.

ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიას № 1. დაეხმარეთ პარტიას პლუტოკრატიული სიმაგრის დანგრევისა და ქალაქის თვითმართველობაში წითელი დროშის აფრიალების საქმეში.

სადღეისო.

ამხანაგ ს.-რევოლიუციონერებს ძალიანა სწყინთ, როცა მათ ეუბნებიან, რომ მათი პარტია ამიერ-კავკასიაში რევოლიუციის შემდეგ გამოიჩეკა.

— ტყუილია! ცილისწამებაა! ჩვენი პარტია რამდენიმე ათეული წლიწადი რევოლიუციონურ მოღვაწეობას ეწევა—გაჰკივიან იგინი.

რაც უნდა სთქვან ის კი უტყუარი ფაქტია, რომ მათი პარტია ჩვენში გამოიჩეკა გუშინ, რევოლიუციის შემდეგ, როცა პეტროგრადიდან შემოყვეული საბუთები მიიღეს რევოლიუციის შესახებ.

და აი, სწორეთ მოხდარ რევოლიუციის შესახებ პეტროგრადიდან მოსულმა ამბავმა, რომელმაც უცბათ ყველაფერს წითელი რევოლიუციონური ელფერი მისცა, რამაც გაუხსნა ბაგენი და რევოლიუციის სადიდებლად აამეტყველა იგინიც კი, რომლებიც გუშინ მუხლს იდრეკდენ ნიკოლოზის სურათის წინ, ჩვენს თვალწინ მოხდა სასწაული—დაიბადა თფილისის ს. რევოლიუციონური პარტია. ეს პარტია ჩვენში წინათ არ იყო.

სწორედ მაშინ, როდესაც ძველი მთავრობა გადადგა, როცა ქუჩაში „გოროდოვოების" შიში აღარ იყო, საიდანღაც გამოძვრა ს.-რევოლიუციონერთა პარტია.

თქმა არ უნდა წინათაც იყვნენ ჩვენში ს.-რევოლიუციონერები, მაგრამ მხოლოდ კერძო პიროვნებები, როგორც პარტია ის არ არსებობდა. ეს კერძო პიროვნებები, ზოგნი სომეხ დაშნაკცაკანებში და ზოგიც ქართველ ფედერალისტებში ტრიალებდნენ, როგორც მათ მონათესავე ს.-რევოლიუციონერთა პარტიის მიერ ინსტრუქტორებათ გამოგზავნილნი. ამ პარტიის ტრაგიკული მდგომარეობა იმაში გამოიხატება, რომ მის მიერ გაგზავნილი ინსტრუქტორები ვერ ასრულებდენ თავიანთ მოვალეობას, რომ ამ შოვინისტურ პარტიებში, სოციალისტური სული ჩაებერათ და რევოლიუციონური ცეცხლი ჩაეგზნებინათ, წინააღმდეგ თვით იანთებოდნენ შოვინიზმით და ყოველ მოხდენილ დროის დაქირავებულ დამცველების როლში გამოდიოდენ ს.-დემოკრატიულ პარტიის წინააღმდეგ. მხოლოდ ამ წინააღმდეგობაში ხედავდენ იგინი თავიანთ რევოლიუციონერობას. ასე ესმოდათ მათ რევოლიუციის და დემოკრატიის სამსახური.

ცხადია, ეს გარემოება განსაკუთრებულ დაღს ასვამს ამ პარტიას. ამ პარტიის უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ იმ წამსვე რევოლიუციის შემდეგ გამოიჩეკა თუ არა, იძულებული შეიქნა დროისთვის არ ეყურებია, რომ ფეხი აედგა და წელში გამაგრებულიყო, როგორც ეს საჭიროა ახლად შობილ ყრმისთვის, არამედ ხელათ ბუდიდან გადმოსკუპდა, რბენა დაიწყო და ჰოი საკვირველებავ! თავის სათუთ ზურგზე რევოლიუციონურ საქმეებით გატენილი მძიმე ხურჯინიც კი წამოიკიდა.

ამ გარემოებამ აიძულა ეს ახლად გამოჩეკილი პარტია ხურდა-ხურდა ხალხისთვის მოეყარა თავი პარტიაში, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი პარტიათ მონათვლა. როცა გახურებული ომია, იმ ჯარისკაცს, რომელიც ეხლავე ბრძოლაში უნდა ჩაერიოს, კბილებს არ უსინჯავენ. ამიტომაც პარტია იძულებული შეიქნა ფართოთ გაეღო კარები არღუთინსკი, ტიგრანოვებისთვის, მარჯვნით და მარცხნით.

მაგრამ მარტო ის არ არის უბედურება, რომ ს.-რევოლიუციონერთა პარტია გუშინ გამოიჩეკა ჩვენში. ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ამ პარტიის ფართოთ გაღებულ კარებში შევიდნენ ბევრი დაშნაკცაკანები და დაბადებისთანავე ის მათი ტყვე შეიქნა.

წადით მიტინგებზე და ყური დაუგდეთ ს.-რევოლიუციონერ პარტიის ორატორებს, რას გაიგონებს თქვენი ყურები? ორატორები ხოტბა დიდებას ასხამენ „დაშნაკცუტუნს". პირზე დორბლ მორეულნი ამტკიცებენ, რომ ის არის „ერთადერთი სოციალისტური და რევოლიუციონური პარტია, რომელიც მის პოლიტიკურ პლატფორმაზე დგას და მის ტაქტიკას იზიარებს".

დაესწარით და ყური დაუგდეთ რევოლიუციონურ ორგანიზაციების კრებებს და ქვენ იქ ნახავთ ისეთ სურათს, რომელიც გულს აგიჩუყებთ და თვალებზე სიხარულის ცრემლებს მოგგვრით. განცვიფრებაში მოდიხართ, როცა უყურებთ როგორი ერთსულოვნება და ძმური განწყობილებაა დაშნაკცაკანების წარმომადგენლებისა და ამხ. ს.-რევოლიუციონერებს შორის. როგორც თავდავიწყებით შეყვარებულნი, ხელი ხელ გადახვეულნი ჩაჩურჩულებენ ერთმანეთს საიდუმლო სიტყვებს.

ყველა ეს ხოტბა დიდება „დაშნაკცუტუნისადმი", მისკენ მიმართული სიყვარულით აღვზნებული თვალები და საარშიყო სიტყვები, აშკარათ მოწმობენ თუ რა დიდ საფრთხეს უმზადებს მთელ კავკასიის დემოკრატიას, რევოლიუციას და თავისუფლებას, ს.-რევოლიუციონერთა პარტია.

იქნებ ამხ. ს. რევოლიუციონერებმა არ იციან ვინ არიან დაშნაკელები, რა არის „დაშნაკცუტუნი"?

ჩვენ გვრწამს, რომ რუსეთში პატივცემულ და ჩვენთვის ძვირფას პარტიის მცირედ ნაწილს, რომელმაც პარტიული სკოლა გაიარა და დროებით ეხლა ჩვენში მოხვდენ, წარმოდგენა არ აქვს „დაშნაკციუტუნის" პარტიაზე. და აი სწორეთ ამ ნამდვილ ს.-რევოლიუციონერებისა და მთელი რევოლიუციური ქვეყნისთვის საჭიროა „დაშნაკცუტუნის" ფიზიონომიის გამოაშკარავება, რასაც ჩვენ სიამოვნებით ვასრულებთ და მით ვიხდით ჩვენ რევოლიუციონურ მოვალეობას.

მაშ ეხლა ვიკითხოთ: ვინ არის ეს „დაშნაკცუტუნი", რა როლს თამაშობდა ის გუშინ კავკასიაში ან ოსმალეთში და რა როლს ითამაშებს ის ხვალ, რომ რევოლიუციის ბორბალი უკუღმა დაბრუნდეს და ჩვენ თავისუფლებას დღუპვა მოელოდეს?

ამის პასუხათ ჩვენ წამოვაყენებთ ამ პარტიის წინააღმდეგ შეურყეველ საბუთებს და დეე თვით მკითხველმა განსაჯოს რა სამსახური გაუწია მან რევოლიუციას და დემოკრატიას და რა საფრთხეს უმზადებენ ამხ. ს.-რევოლიუციონერები თავისუფლებას ამ პარტიასთან მეგობრობით.

ჩვენ წინ დევს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე შინაგან საქმეთა მინისტრ უბადრუკ სტოლიპინის „კონფიდენციალური" წერილი კავკასიის ნამესტნიკ ვორონცოვ-დაშკოვისადმი. წერილი 1908 წ. 11 აპრილის თარიღით არის გამოგზავნილი. № 64,885 ტ შეიცავს დიდი თაბახის ოცდა ორ გვერდს და მასში მოთხრობილია 1906, 1907 და 1908 წლებში კავკასიაში მომხდარი ამბები.

აი რას ვკითხულობთ ჩვენ ამ დიდებულ დოკუმენტში „დაშნაკცუტუნის" შესახებ.

მოწყალეო ხელმწიფე ილარიონ ივანისძე!

...განჯის გუბერნიაში ყურადღებით და აღნიშნულ უნდა იქნას საიდუმლო საზოგადოება „დაშნაკცუტუნის" მოქმედება, რომელმაც დაიმორჩილა სომეხ მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი. „დაშნაკცუტუნის" გამარჯვებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ 1907 წლის იანვარში და თებერვალში ამ პარტიის მარჯვენა ფრთამ განჯაში პოლიციელების როლი იკისრა, ყაჩაღების წინააღმდეგ ზომები მიიღო და მით დაიცვა მშვიდობიანი მცხოვრებნი ძარცვა-გლეჯისაგან. ამ მოვლენას სხვა ქალაქებშიაც ჰქონდა ადგილი. ამას შედეგათ მოჰყვა ის, რომ 1907 წლის აპრილში „დაშნაკცუტუნის" პარტიის კომიტეტის ხელში იყო ფაქტიურათ სომეხთა ადმინისტრატიული მართვა-გამგეობა და მათი ბედი და შეჰკრიბეს რა, თითქო თათრების წინააღმდეგ საბრძოლველათ, ბლომათ ფული, ყიდულობდენ იარაღს, აარსებდენ თავიანთ სახელოსნოებს და ლაბორატორიებს ყუმბარების გასაკეთებლათ, დაარსეს საკუთარი სატუსაღო და ყველა იმათ, ვინც კომიტეტის გარეშე პოლიციას და სასამართლოს მიმართავდა, ატუსაღებდენ და ჯარიმას ახდევინებდენ. (გვერ. 4—5) ის ცნობები, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელთა აქვს, აშკარათ მოწმობენ, რომ ზემოაღნიშნული ორგანიზაცია მოქმედობს აშკარათ, ის აღიარებულია მთავრობისაგან და ზოგიერთ მის წარმომადგენელს „დაშნაკცუტუნთან" დამოკიდებულება აქვს ზოგ საკითხებში. **ამ ორგანიზაციის ზოგიერთი წევრები ხშირად პოლიციის მაგიერობას ეწევიან და დახმარებას უწევენ ადმინისტრაციას წესიერების დაცვის დროს.** ამ უკანასკნელ დროს ზოგიერთ პუნქტებიდან მოსულ ცნობებით ამ ორგანიზაციას თავის წინადადებები შემოაქვს ჩვენს ოხრანასთან დამოკიდებულების საკითხზე*).

ასეთი მდგომარეობა შექმნა განსაკუთრებით იმიტომ, რომ შეუცდომით გაიგეს „კავშირის" ნამდვილი მიმდინარეობა, რომელიც თვალ-ყურის გდების დაცვის გარეშე იდგა, ფართოთ გაიდგა ფეხი სომეხ მცხოვრებთა შორის და ძლიერ საშიშრო ძალას წარმოადგენს (გვერ. 11).

ამ დოკუმენტიდან აშკარათ სჩანს, რომ ვორონცოვ-დაშკოვის და უმეტესათ შავბნელ რეაქციის დროს, „დაშნაკცუტუნის" პარტია აშკარათ არსებობდა, პოლიციის მაგიერობას ასრულებდა და ეხმარებოდა კანონიერ ადმინისტრაციის წესიერების დასაცავათ და მოსალოდნელ საფრთხის თავიდან ასაცილებლათ, მაგრამ ვიკითხოთ საიდან მოელოდა კავკასიას საფრთხე ოფიციალურ მთავრობის აზრით?

ეჭვს გარეშეა რევოლიუციონურ ორგანიზაციებისაგან. ეს იყო ერთად ერთი საფრთხე და „დაშნაკცუტუნიც" ხმალ-კაპარჭით ხელში გვერდში უნდა ამოსდგომოდა კანონიერ მთავრობას და რევოლიუციონურ ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლა გაეჩაღებია.

და აი, ასეთი პარტია მიიღეს თავის მფარველობის ქვეშ ამხ. ს.-რევოლიუციონერებმა და წარბ შეუხრელათ, რიხით ეუბნებიან ხალხს „ ეს არის კავკასიის რევოლიუციის და დემოკრატიის მოამაგე და მხსნელი"-ო.

უკანასკნელი დღე.

ქალაქის პლუტოკრატიული საბჭოს დაკრძალვა, რომელიც 24 ივლისს ღამის 11 საათზე გარდაიცვალა, მოხდება ხვალ, 30 ივლისს.

30 ივლისს, საღამოს 9 საათზე, ძველი საბჭოს კუბოს ფიცარზე უკანასკნელ ლურსმანს დაჰკრავენ და გაისტუმრებენ იქ, სადაც „ცოდვილნი ამა ქვეყნისანი განისვენებენ"—არც აქ ყოფილა კარგი, ნურც იქ დაადგება ნათელი!..

დაკრძალვის წეს-რიგი, ანუ ცერემონიალი, უკვე შემუშავებულია. დასაფლავებაში დაახლოვებით 150 ათასმა სულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა. მისაწვევი ბარათები დაგზავნილია!

დიდებული სურათის მნახველი შევიქნებით!

ბევრმა შეიძლება არც კი იცოდეს, თუ რა სენმა იმსხვერპლა ის—

სინათლემ, თავისუფლებამ!

ოთხი თვისა და 24 დღის სინათლეზე მუშაობამ ის სულ ერთიანად დააბრმავა—შეჩვეული იყო უფრო ბნელაში მუშაობას.

ამ ხნის განმავლობაში მისი სასუნთქავი ჰაერიც ერთიანად მოისპო:

არ იყო ჩვეული მაინცა და მაინც სუფთა ჰაერის სუნთქვას.

ასე ეწვალა, ასე დაიტანჯა ეს განაწამები არსება!..

და როცა ღამის 11 საათზე 24 ივლისს ცნობილმა ორატორმა ექიმმა ალექსანდრე ხატისოვმა მაჯა გაუსინჯა, ხელი ჩაიქნია და იმ წამსვე თვალები დაუხუჭა... და შესაფერი გამოსამშვიდობებელი სიტყვაც უთხრა. საბჭოს სულის ჩამდგმელმა ხმოსნებმა კი, რომელთა რიცხვი ოცამდე იყო, მწუხარეთ და მგრძნობიარეთ „საუკუნო იყოს სახსენებელი შენი" უგალობეს...

ბევრი იტირეს, იტირეს გულ-ამოსკვნით, ცრემლთა ზღვა დადგა საბჭოს დარბაზში...

ორიოდე სიტყვა, კერძო ლაპარაკში, მემკვიდრეობის შესახებაც სთქვეს ჭირისუფლებმა, მაგრამ დასაფლავებამდე საკითხი გადაუწყვეტლათ დასტოვეს.

განსვენებულს დიდი ქონება არ დარჩენია. როგორც ამბობენ,—სულ ვალებით ირჩენდა თავსო. მთელი ქონებაც არ არის ჯერ გამოკვლეული. ჯერ ჯერობით სჩანს შემდეგი: ერთი სახლი ერევნის მოედანზე, საბჭოს სახდომო დარბაზში 80 მდე დაგლეჯილ-დამტვრეული სავარძელი, ცარიელი კასა, შაქრისა, პურის ფქვილის და სხვა სასურსათო საგნების მისაღები აყარებული ბარათები, აყარებული პროექტი ქაღალდები—ქუჩების მოკირწყვლის, გასუფთავების, განათების, წყალსადენის გაყვანის, საყოველთაო სწავლა-განათლების შემოღების და სხვათა და სხვათა შესახებ.

ამბობენ: ომის გათავების შემდეგ, თუ შაქრის წარმოება გამოცოცხლდა ისე, რომ შაქარი ყველა მეწვრილმანეს დაურჩა გასასყიდათ, მემკვიდრეები ამ პროექტ ქაღალდებში დიდძალ ფულს აიღებენო.

ამ ქაღალდებს შაქრის სახვევ ქაღალდათ გაყიდიანო! ვინ ხოა!

მაგრამ შემოსავალიც კაი ძალი ქონდა.

და სწორეთ ეს „შემოსავალი" აფიქრიანებს ძველ საბჭოს სულის ჩამდგმელთ. ეს საკითხია რომ მემკვიდრეობის საქმეს „ამწვავებს",

ვინ იქნება მემკვიდრე?

გამომშვიდობებისას ხატისოვმა ურჩია ძველ ხმოსნებს „რომ მათ, როგორც საზოგადო საქმეში გამოცდილთ, თავიანთი ცოდნა-სწავლის შესაფერი საქმე ეშოვნათ ქალაქის მომავალ ახალ ცხოვრებაში".

ხმოსანმა ვესელოვზოროვმა „აღნიშნა საერთოდ ძველ ხმოსანთა სრული უუნარობა საქალაქო საქმეებში და ურჩია, რომ ახალ საბჭოსაც ისე წარმატებით ემუშავოს პროგ-

---

*) ხაზი ჩვენია.

ამხანაგებო!
ჯარის-კაცებო!
მოქალაქენო!

ხვალ ყველანი გამოდით და არჩევნებში

მიიღეთ მონაწილეობა
ხმა მიეცით სოც.-დემოკ. სიას № 1.

საერთაშორისო ომი

დასავლეთის ასპარეზზე შეტაკება განელდა. მოწინააღმდეგეს ახლა ისეთი გააფთრებული იერიშები აღარ მოაქვს როგორიც მას ამ რამდენიმე დღის წინათ მოქონდა. აშკარაა იგი ძალებს იკრებს და უფრო მედგარი იერიშების თვის ემზადება.

მტერი ამ ჟამად უფრო რუმინიის ფრონტზე ამოძრავდა და რუსეთ რუმინიის ჯარს კიმპოლუნგის გზატკეცილებთან უკან ახევიებს.

სახელდობრ მტერმა ფოკშან მერეშეშტის რაიონში იერიშები მოიტანა და რუსეთ რუმინიის ჯარმა ბისიჩესჩის ჩრდილოეთით დაიხია.

დანარჩენ ფრონტზე ჩვეულებრივი სროლაა.

კავკასიის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

საფრანგეთის ფრონტზე შეტაკებები განელდა.

იტალიის ფრონტიდან ცნობა არ მოსულა.

რის გზაზე, როგორც მისმა წინამოადგილემ, ძველმა საბჭომ იმუშავა“.

ამ აზრის მატარე ეს ორი კაცი არ არის!

ასე ფიქრობენ და მოქმედობენ ახლა სხვადასხვა პარტიები, გაზეთები. ამას ქადაგებენ პლუტოკრატთა „კავკაზსკოე სლოვო“ და „ტიფლისსკი ლისტოკი“, ამ აზრის დასაცავათ დარაზმულან და იბრძვიან სოციალისტ-რევოლიუციონერები, დაშნაკცუტუნი, კადეტთა პარტია, სხვადასხვა ჯგუფისა და მოდგმის ნაციონალისტური პარტიები!

მათი განზრახვა აშკარაა! მათ სურთ „სული ჩადგან“ ძველ, პლუტოკრატიულ საბჭოს—ახალ საწოსილოში ძველი „მოლევ წენი“ შემოგვაჩეჩონ ხელში...

შავი გულის პატრონი ხალხი თეთრ კბილებს გვაჩვენებს! უფრთხილდით.

ერთად-ერთი—სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტიას აქვს გადაწყვეტილი ძველი საბჭოს საბოლოოდ დასამარება...

მოქალაქენო! დაგვეხმარეთ!

მიაწოდეთ საარჩევნო ყუთებს პირველი ნომერი (№ 1) სია!

თითოეული ხმა, პირველ ნომრის სახით ყუთში ჩაგდებული, ეს იქნება ის ლურსმანი, რომელიც ყოველმა არა პლუტოკრატმა მოქალაქემ უნდა დაჭედოს ძველი საბჭოს კუბოს ფიცარს!

რაც მეტ ლურსმანს დავჭედავთ, მით უფრო საიმედოთ იქნება საქმე გაკეთებული!

მოქალაქენო! მიაწოდეთ საარჩევნო ყუთებს, მიეცით თქვენი ხმა სოციალ დემოკრატიულ პარტიის სიას № 1.

ხვალინდელი დღე.

ხვალინდელი დღე დაუვიწყარი იქნება თფილისათვის.

ხვალ თავის ვალის მოსახდელათ საარჩევნო ყუთთან პირველად მივა დღემდის უხმო, უცენზო დემოკრატია. ხვალინდელ არჩევნებში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე დღემდის აბუჩათ აგდებული ქალებიც. ამ მხრით ეს დღე ჩვენი დღესასწაულია. ჩვენს დროშაზე სხვათა შორის ეწერა: საყოველთაო, პირდაპირი, ფარული თანასწორი არჩევნები განურჩევლათ სქესისა. აი ამ დემოკრატიულ ლოზუნგს ხვალ პირველად პრაქტიკულად განვახორციელებთ. ხვალ თფილისის დემოკრატია დარაზმული გამოვა საარჩევნო ბრძოლისათვის და ხმას მისცემს სოციალ-დემოკრ. სიას № 1. ამით ის შეგნებულად ჩააბარებს ქალაქს ბედ-იღბალს თავის გამოცდილ წარმომადგენლებს და მით თავის ინტერესების დაცვის საქმეს უზრუნველ ყოფს.

მაგრამ საარჩევნო ბრძოლის ასპარეზზე უკვე გამოვიდენ სხვადასხვა პარტიები და ჯგუფები თავიანთი სიებით. თუ დააკვირდებით: არც ერთი პარტია და ჯგუფი, გარდა სოც.-დემოკ. არ გამოსულა თავისი ნამდვილი სახით. ყველას ერთნაირი ნიღაბი აქვს აფარებული და ცდილობენ თავიანთი თავი ხალხის მოკეთეებად დასახონ. გადაათვალიერეთ მათი „პლაკატები“ და თქვენ ყველაზე ერთს და იმავეს წაიკითხავთ: „მშრომელი ხალხის პარტია“, „სახალხო პარტია“ და სხვა ასეთები. ყველანი ხალხს მშრომელ მასას ეძახიან: ჩვენ მოგვეცით ხმა, თუ გსურს ბედნიერება. არც ერთი პარტია არ ამბობს აშკარათ. ჩვენ ნაციონალისტები ვართ, ჩვენ კი ბურჟუაზიის მეთაურებით და სხვა. ხომ კი ვიცით ნამდვილათ, რომ ამ არჩევნებში აშკარა ნაციონალისტები, აშკარა პლუტოკრატები ღებულობენ მონაწილეობას, მაგრამ არც ერთი ჩვენი მოწინააღმდეგე პარტიები თავის სახეს არ აჩენენ და სხვადასხვა „სახალხო“ ფირმით გამოდიან. რატომ იქცევიან ასე? რატომ ჩვენსავით უშიშრათ არ ეუბნებიან ამომრჩევლებს: აი ჩვენ ასეთები ვართო. ეს მოქალაქენო, მათი საარჩევნო ხრიკია. მათ სჭირიათ დემოკრატიის ხმები, მათ იციან, რომ ძალა დემოკრატიის ხელშია და აი ყველანი ცდილობენ ამ ბანაკში იშოვონ მეტი ხმები და თავისი პირადი, კლასიური საქმე ჩვენი ხელით გაგვაკეთებინონ. ისინი ცალ-ცალკე ცოტანი არიან. მათ იციან, რომ მარტო თავისიანების ამარა ფონს ვერ გავლენ და დემოკრატიულ მასის გადაბირებას ლამობენ. აი ამ მიზნით ჩვენი მოწინააღმდეგენი არა საკადრისათ იბრძვიან ჩვენს წინააღმდეგ და დემოკრატიას ხელს უქნევენ: აბა მოდით, თუ გსურს ბედნიერება ჩვენ მოგვეცი ხმებიო. ჩვენი დემოკრატია ფხიზლათ და მედგრად უნდა დაუხვდეს ამ ნიღაბ აფარებულ „ხალხის მოკეთეებს“ და საარჩევნო ბრძოლაში შეგნებულად ჩარევით აჩვენოს მათ და დაანახვოს ყველას, ვის მხარეზეა მისი თანაგრძნობა, ვის ანდობს ის მშრომელ ხალხის ინტერესების დაცვას.

მოქალაქენო! ხვალინდელი დღე ჩვენი დემოკრატიის საზეიმო დღეთ უნდა გადავაქციოთ. ხვალ სოც.-დემ. სიამ № 1 უნდა მიიღოს ყველა თქვენი ხმები. გახსოვდეთ, ჩვენი დამარცხება, მშრომელი ხალხის ინტერესების დამარცხება იქნება და პლუტოკრატიის დღესასწაული. სოც.-დემოკ. სიის გამარჯვება კი თქვენი საკუთარი ზეიმი. ამიტომ ყველანი გაეშურეთ საარჩევნო ყუთებისაკენ, ჩააგდეთ კონვერტში ჩვენი ბარათები წითელი ასოებით დაწერილი № 1 და ამით ხელი შეუწყვეთ ჩვენს გამარჯვებას. ხვალ თქვენ არ გაახარებთ დემოკრატიის მტრებს. ხვალ თქვენ ჩვენს ბრძოლაში ნაწრთობ საყვარელ დროშას ახალ გამარჯვებას შესძენთ თქვენ და საქვეყნოდ ჩვენი დროშა გაშლით ყველას, შემოიკრიბოთ მის ირგვლივ. ამ დროშას არა ერთხელ უნახავს სახელოვანი გამარჯვება. ის არა ერთხელ აფრიალებულა მთელი ქვეყნის პროლეტარიატის სახელით.

ამ წმიდა ჩვენს დროშას ღირსეულ ლოზუნგათ აწერია: № 1.

მოქალაქენო! ჯერი თქვენზეა: თქვენი ხმა უნდა მისცეთ სიას № 1-ს.

ნიღაბ-აფარებული სოციალისტები.

ხვალ თფილისის საქალაქო არჩევნები მოხდება და თითოეული პოლიტიკური პარტია უკანასკნელ ეგზამენს ჩააბარებს.

ახლა ცხოვრების ზედაპირზე მრავალი საზოგადოებრივი ჯგუფები ამოტივტივდენ და ხალხს არა-მკითხე „გულშემატკივრები“ დემოკრატიისათვის „თავს დებენ“, თფილისის გაღატაკებულ მცხოვრებთ ერთგულებას ეფიცებიან და ყველანი სოციალისტების სამოსელში გახვეულან.

მაგრამ ნიღაბ აფარებულ სოციალისტებს დაავიწყდათ, რომ ისინი კლასობრივათ გაწვრთნილ და პოლიტიკურათ შეგნებულ დემოკრატიას შეცდომაში ვერ შეიყვანენ. დემოკრატიას უკვე დიდი ხნით არჩეულ გზას ვერ დაატოვებინებენ და თავიანთ ბურჟუაზიულ-შოვინისტურ სულისკვეთებას სოციალისტურათ ვერ გაასაღებენ.

ამიერ კავკასიის და განსაკუთრებით თფილისის დემოკრატიამ კარგათ იცის, რომ ის პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც ახლა საარჩევნო ასპარეზზე სოციალისტური პროგრამით გამოსულან სოციალისტები არ არიან და თავიანთ პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე არას დროს, სოციალისტური ნაბიჯი არ გადაუდგამთ. პირიქით ისინი არსებულ სოციალ-დემოკრატიულ, ნამდვილ ინტერნაციონალისტურ პარტიას დაუნდობლათ ებრძოდენ და მის ინტერნაციონალურ პროგრამას ასამარებდენ.

საერთაშორისო ომის ხანაში, მთელი სამი წლის განმავლობაში ეს ფსევდო-სოციალისტები ინტერნაციონალის დასამარებას დღესასწაულობდენ, ინტერნაციონალურ სოციალისტებს სულთამთანას უგალობდენ და სოციალიზმს უტოპიათ აცხადებდენ.

ხოლო ახლა, როცა რუსეთის დიდი რევოლუციის შემდეგ რუსეთის რევოლიუციონერი კლასები და მასთან ერთად მთელი კავკასიის დემოკრატია გაძლიერდა, მთელი დემოკრატია სოციალისტების დროშის გარშემო ამოძრავდა—ბურჟუაზიულ-შოვინისტური პარტიებიც თავიანთ ძველ სალოცავს დროებით თითქოს ეხოვებიან, სოციალისტობენ და დემოკრატიას ემხრობიან.

მათ ამის გულისათვის სხვადასხვა სოციალისტური პარტიებიდან პროგრამები მოისაკუთრეს, თავიანთ პროგრამათ გამოაცხადეს და ამ სახით ხალხს სოციალისტებათ ევლინებიან.

განსაკუთრებით ახლა, როცა პოლიტიკური არსებობა დემოკრატიის გარეშე შეუძლებელია, განსაკუთრებით ახლა, როცა რუსეთის დემოკრატიამ ისტორიულათ შემუშავებული პოლიტიკური რეჟიმი დაანგრია და ხალხის უდიდესი ნაწილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში განურჩევლათ ეროვნებისა, კლასისა, სქესისა და სარწმუნოებისა ჩაერია.

სწორედ ახლა, როცა საქალაქო არჩევნებში ცენზიანი უფლება მოისპო და მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას, გაღატაკებულ კლასს საარჩევნო უფლება მიენიჭა, ნაციონალისტური და პლუტოკრატიული პარტიები დემოკრატიული პროგრამით აღჭურვილები გამოდიან და დემოკრატიის უფლების დაცვას ეპირებიან. მაგრამ დემოკრატიამ კარგათ იცის მათი სულის კვეთება, დემოკრატიამ კარგათ იცის მათი ისტორიული მოღვაწეობის ნიმუშები სახელმწიფო დუმაში თუ ქალაქის თვითმართველობაში. ფედერალისტებს, დაშნაკელებს და თვით სოციალ-რევოლიუციონერებს ხშირად ყოლიათ თავიანთ წარმომადგენლები ზოგიერთ დასახელებულ საზოგადოებრივ დაწესებულებაში და მათ არსად სოციალისტური კლასების ინტერესები არ დაუცავთ. განსაკუთრებით სოციალ ფედერალისტები და დაშნაკელები ყოველთვის ვიწრო ნაციონალურ შოვინისტურ პოლიტიკას აწარმოებდენ და გაბატონებულ კლასებს ამაგრებდენ. აბა ერთი გვითხრან, როდის იყო, რომ ისინი სახელმწიფო დუმაში და ქალაქის თვითმართველობებში დემოკრატიის ინტერესების დამცველად გამოსულიყვნენ? მათ ფართო საზოგადოება იცნობს, როგორც ანტი დემოკრატიულ პარტიათ.

აი ახლა ამათ კვლავ თავი წამოყვეს, ხალხს კვლავ მოსარჩლე პარტიათ ევლინებიან, მაგრამ თფილისის დემოკრატია, ახლა როგორც წინათ, მათ იმედებს გაუცრუებს, ხვალ საქალაქო არჩევნებში ნამდვილ სოციალისტურ სოციალ დემოკრატიულ პარტიის სია № 1 მისცემს ხმას და მით ნიღაბს ახდის ყველა ცრუ სოციალისტურ პარტიებს.

მაშ, ამხანაგებო და მოქალაქენო! ტრადიციულად, პირნათლად შეასრულეთ თქვენი მოვალეობა და ხმა მიეცით სია ნომერ პირველს.

ძველი გზით!

დემოკრატიას, ფართო მასას ყოველივე საშუალებით ერეკებოდა ძველი რეჟიმი საზოგადოებრივ დაწესებულებებიდან. მეფის მთავრობა ხალხის უუფლებობაზე ამყარებდა თავის ბატონობას. იგი ქმნიდა იმ კანონებს, რომლითაც მიუხედავათ დემოკრატია განდევნილი იყო საზოგადოებრივ მუშაობის ასპარეზიდან და მის ბედ-იღბალს განაგებდენ არამკითხე „ჭირისუფლები“.

სამი ივნისის კანონმა სახ. დუმა მემამულეებს ჩაუგდო ხელში, 90 წლის ერობა თავად-აზნაურობას აბარებს ბატონობას, 92 წლის საარჩევნო კანონმა ქალაქის თვითმართველობაში პლუტოკრატია მოაკალათა და მას ჩააბარა მცხოვრებთა კეთილდღეობაზე ზრუნვა. თუ რაში გამოიხატებოდა ეს „ზრუნვა“—ეს ყველა ჩვენგანმა კარგად იცის. მდიდრების არჩეულები მათივე ინტერესებს იცავდენ და დემოკრატიის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება ფიქრათაც არ მოსვლიათ.

მაგრამ ძველი დაინგრა, ბორკილები დაიმსხვრა, დიდმა რევოლიუციამ რუსეთის ხალხს საყოველთაო საარჩევნო უფლება მიანიჭა. დემოკრატიას საშუალება მიეცა ჩაერიოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ფართო შემოქმედებითი მუშაობა აწარმოოს. მთელ რუსეთის სივრცეზე ისპობა ძველი დაწესებულებები, მათ ადგილს ახალი ორგანიზაციები იჭერს, ისპობა ქალაქის ძველი თვითმართველობაც ბევრ ადგილას, როგორც რუსეთში, ისე კავკასიაში უკვე მოეწყო დემოკრატიულ პრინციპზე ახალი თვითმართველობა.

ხვალ ქალაქის ძველ „მამების“ ნამსახურებით ფურცელს წარუდგენს თფილისის დემოკრატია. თფილისის მოქალაქენი ხვალ პირველათ ისარგებლებენ საყოველთაო საარჩევნო უფლებით მუნიციპალური საქმის მოსაწყობათ. და ამ უფლების გამოყენების დროს მოქალაქეთა უმრავლესობა, რა თქმა უნდა, არ დაივიწყებს ძველი თვითმართველობის მოღვაწეობას. რას აკეთებდა სოლოლაკის პლუტოკრატია მოქალაქეთა საკეთილდღეოთ, როგორ პოლიტიკას აწარმოებდა იგი ქალაქის თვითმართველობაში? მდიდრების მიერ არჩეული ხმოსნები მხოლოდ მდიდრებისავე ინტერესებს იცავდენ, მათ კეთილ მდგომარეობის უზრუნველ საყოფათ ფლანგავდენ ქალაქის ქონებას. დემოკრატიის საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე არავინ ზრუნავდა. ნესტიან და ბნელ სარდაფებში ცხოვრება, ტალახიანი, განათებას მოკლებული ქუჩები, უწყლობა, ბინის სივიწროვე, სანოვაგის ნაკლებობა და სხ. ერთი სიტყვით აუტანელი ცხოვრება ქალაქის განაპირა უბნებში მოქალაქეთა უმრავლესობისათვის და ელექტრონით გაშუქებული და ქვაფენილით ლამაზათ მორთული ქუჩები, რამდენიმე სართულიანი სრული სადგომები ყოველივე მოწყობილობით, ბაღები, სანოვაგის სიუხვე—ერთი სიტყვით უდარდელი, კმაყოფილი ცხოვრება სოლოლაკში, ქალაქის შუაგულში—ასეთი იყო ძველი თვითმართველობის „საქმიანობის“ შედეგი. ხვალ თფილისის დემოკრატია ერთხელ კიდევ მოიგონებს ძველი „მამების“ მოღვაწეობას, ღირსეულათ დააფასებს მას და შესაფერ ჯილდოსაც მიუძღვნის... ხვალ გაეთხრება საფლავი ძველი რეჟიმის კიდევ ერთ ნაშთს, ხვალ მოეღება ბოლო სოლოლაკელთა ბატონობას.

ამას კარგად გრძნობენ პლუტოკრატიის წარმომადგენლები, ხედავენ ძველი სადგომი ეღუპებათ, მაგრამ ჯერ-ჯერობით იმედს არ კარგავენ, სულით არ ეცემიან. ფიქრობენ ახალ თვითმართველობაშიც გაძვრენ. ამ მიზნით მიმართეს მიმქრალ პარტიებს, რომლებმაც ერთობ დიდი სტუმართ მოყვარეობა გამოიჩინეს და ამნაირათ ჩვენი ნაცნობები ხატისოვ—დოლგორუკი—[illegible] დაშნაკცუტუნ—სოციალისტ რევოლიუციონერ—ნაციონალ-დემოკრატთა შორის მოექცენ. დღეს მათ სჭირიათ დემოკრატიის ხმები, და არავითარ დაპირებებს არ შურავენ.

მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამ კომბინაციებით ამომრჩევლები შეცდომაში ვერ შეიყვანენ. თფილისის დემოკრატიამ კარგათ იცის, თუ ვის ჩააბაროს ქალაქის საქმეები. მან გამოცდილებით დაინახა თუ ვინ არის მისი ინტერესების საქმით დამცველი.

შემთხვევითი არ არის ის მოვლენა, რომ პროვინციაში საქალაქო არჩევნებში სოციალ-დემოკრატები იმარჯვებენ. სოფლის მცხოვრებლები მხოლოდ სოციალ-დემოკრატებს უცხადებენ ნდობას. თფილისის დემოკრატია, რომელმაც თვით 3 ივნისის საარჩევნო კანონის დროსაც შესძლო თავისი ინტერესების დაცვა ჩაებარებია ს.-დ. დეპ. ჩხეიძისათვის, ხვალაც არ უღალატებს ძველ, ნაცად გზას და ნდობას გამოუცხადებს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ხმას მისცემს მის სიას № 1.

ამხანაგებო და მოქალაქენო! არც ერთი ხმა იმ სიას, რომელშიაც თქვენ ხედავთ ძველი თვითმართველობის წარმომადგენლებს.

არც ერთი ხმა დაშნაკცუტუნის სიას № 4, რომელსაც თავი შეაფარა პლუტოკრატიის გულის მესაიდუმლე ა. ხატისოვმა, არც ერთი ხმა დაშნაკცუტუნის პარტიას, რომელსაც თქვენ დღემდის თუ იცნობდით, იცნობდით მხოლოდ როგორც ერთა შორის შუღლის მთესველს და დემოკრატიის მოსისხლე მტრათ რაცხდით.

მიეცით ხმა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სიას № 1, იმ პარტიას, რომელსაც მხოლოდ ერთად ერთს უპყრავს ასე მაღლა ერთა შორის სოლიდარობის დროშა, რომელმაც 1905 წელს თავის ჩარევით შეაჩერა ორ მოძმე ერთა შორის ატეხილი ხოცვა-ჟლეტა.

ამხანაგებო და მოქალაქენო! თფილისის დემოკრატია ვერ მისცემს ხმას ვერც სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიის სიას № 3. გადაათვალიერეთ ეს სია. აქ თქვენ ნახავთ ძველი თვითმართველობის სულის ჩამდგმელს არღუთინსკის, აქ შეხვდებით ლებედევებს, [illegible], რომლებმაც თავი ისახელეს ანტი-დემოკრატიული საქმიანობით. დანარჩენ კანდიდატთა უმრავლესობას ვერ იცნობს თფილისის ფართო მასა, ს.-რევოლიუციონერებს კავკასიის დემოკრატიაში, კერძოთ თფილისის დემოკრატიაში არასოდეს არ უწარმოებია მუშაობა, ჩვენ ვერ ვხედავდით მათ რეაქციის მძიმე დღეებში, ვერ ვხედავდით მათ ომის პირველ დღეებში, როცა დემოკრატია სისხლისაგან იცლებოდა. ისინი მხოლოდ 27 თებერვალს დაბადებულან და დღესაც ჩინოვნიკებსა და პლუტოკრატიას გვაწვდიან ხმოსნებათ.

ამხანაგებო და მოქალაქენო! მიეცით ხმა მხოლოდ სოციალ დემოკრატიულ პარტიის სიას № 1, დააკვირდით კარგათ ამ სიას. აქ თქვენ ნახავთ იმ პირებს, რომლებიც ჭირსა და ლხინში თქვენთან იმყოფებოდენ, თქვენთან იტანჯებოდენ, თქვენს სიხარულსა და მწუხარებას იზიარებდენ. აქ თქვენ შეხვდებით თქვენთვის საყვარელ მებრძოლთ, მას აშვენებს კავკასიის არწივი ნოე ჟორდანია, რომელსაც 30 წლის მანძილზე მედგრათ უპყრავს მაღლა შრომის წითელი დროშა, რომლის [illegible] სიმბოლოა თავისუფლებისათვის ბრძოლისა.

ამხანაგებო და მოქალაქენო! თქვენ ვერ მისცემთ ხმას ვერც ფედერალისტების სიას № 5. ფედერალისტების ანტი-დემოკრატიულ მოღვაწეობას თქვენ კარგად იცნობთ და შესაფერისადაც აფასებთ მას. სასოფლო ორგანიზაციებში ისინი არ გაჰყავთ, უკვე მომხდარ საქალაქო არჩევნებში მხოლოდ თითო თუ გაიყვანეს. თქვენ ვერ მისცემთ ხმას იმ პარტიას, რომელიც ომის დაწყების პირველ დღეებში დემოკრატიის გულის, ინტერნაციონალის დანგრევას ასე შეჰხაროდა.

ამხანაგებო და მოქალაქენო! ნუ უღალატებთ ძველ, ნაცად გზას. ჩააბარეთ ხვალ თქვენი ინტერესების დაცვა სოციალ-დემოკრატებს. მათ თქვენ კარგად იცნობთ, როგორც თქვენი ინტერესების საუკეთესო დამცველებს. მიეცით ხმა სოციალ-დემოკრატების სიას № 1. ამ სიაში თქვენ ნახავთ „განახლების ჯგუფის“ წევრებს, რომლებიც ასე მედგრათ ებრძოდენ ქალაქის თვითმართველობაში გაბატონებულ პლუტოკრატიას, რომლებიც ასე ერთგულათ იცავდენ თქვენს ინტერესებს თვითმართველობაში.

ამხანაგებო და მოქალაქენო! არც ერთი ხმა კადეტების სიას № 7! ეს ხომ [illegible] კრატიას სია, ამ სიის გამარჯვებით ქალაქის თვითმართველობაში იგივე პლუტოკრატები მოიკალათებენ და რას ნიშნავს პლუტოკრატების ბატონობა—ეს ჩვენ უკვე ვიგემეთ.

არც ერთი თქვენი ხმა სხვა დანარჩენ სიებს, არც ერთი ხმა იმათ, ვინც მხოლოდ თავის „საქმეების“ მოსაგვარებლათ აპირებს ქალაქის თვითმართველობაში გაძრომას.

ამხანაგებო და მოქალაქენო! ყველა, ვისთვისაც ძვირფასია დემოკრატიის გამარჯვება, ხვალ უნდა იდგეს თავის პოსტზე. ხვალ უნდა ჩავსცეთ სასიკვდილო ლახვარი ძველი რეჟიმის ნაშთს, ხვალ უნდა დაინგრეს სოლოლაკელთა ბუდე და მის ნანგრევებზე აღიმართოს დემოკრატიული მუნიციპალიტეტის დროშა.

ამხანაგებო და მოქალაქენო! ნუ უღალატებთ ძველ გზას, ნდობა გამოუცხადეთ სოციალ დემოკრატებს, მიეცით თქვენი ხმა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სიას № 1.

თქვენ გახსოვთ, ომიანობის შავბნელ დღეებში, როცა დემოკრატიას სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს და იგი სისხლისაგან იცლებოდა, მხოლოდ სოციალდემოკრატია იდგა თავისუფლების დროშით თქვენთან განუშორებელი, საერთო დუმილს მხოლოდ მისი წარმომადგენლების სიმართლის ხმა არღვევდა სახ. დუმის ტრიბუნიდან. დღესაც ისინი ხელმძღვანელობენ განმათავისუფლებელ მოძრაობას. ისტორიამ ს.-დ. პარტიას დააკისრა მთავარი როლი რევოლიუციის ბოლომდე მიყვანაში. სოციალდემოკრატიული პარტიის გამარჯვება—ეს რევოლიუციის გამარჯვებაა.

მაშ, მიეცით ხმა სიას № 1.

ამხანაგებო და მოქალაქენო! არ უღალატოთ კავკასიის დემოკრატიის ტრადიციებს, რომელიც სახელმწიფო დუმაში გზავნიდა ჟორდანია-წერეთელ-ჩხეიძე სკობელევებს. ხმა მიეცით სოციალდემოკრატიულ პარტიის სიას № 1.

ვენე ადათიშვილი.

ხვალ.

მოქალაქენო! ხვალ თფილისში საქალაქო არჩევნებია. ჩვენი პარტია განკერძოებული გამოდის, მარტო საკუთარ დროშაზე დაყრდნობილი. დანარჩენ პარტიებს ჩვენს წინააღმდეგ ზოგს ცალი, ზოგს მთლიანი ბლოკი აქვთ. ამასთანავე ყველა აშკარათ, თითქმის ძალადობით ცდილობს ჩვენი დემოკრატიის ხმები გადაიბიროს და ასე ამ გზით თავისი სია გაიყვანოს. ბრძოლა როგორც ჩანს მეტად ცხარე იქნება—სამკვდრო-სასიცოცხლო. ყველა ჩვენი ამომრჩეველნი მოვალენი არიან ხვალ თფილისში იყოთ და თქვენი ხმა არ დაუკარგოთ სოც.-დემ. პარტიას.

მოქალაქენო! ხვალ თქვენ პირველად გეძლევათ საშუალება მიიღოთ მონაწილეობა დემოკრატიულ სისტემაზე აგებულ არჩევნებში. ხვალ თქვენ პასუხი უნდა გასცეთ იმ პლუტოკრატიას, რომელიც დღემდის თავის თავს ქალაქის ბატონ-პატრონათ სთვლიდა და თქვენს ინტერესებს აბუჩათ იგდებდა. ხვალ ანგარიში უნდა გაუსწოროთ მათ და ღირსეული ჯილდო მისცეთ დემოკრატიისადმი „ერთგული სამსახურისთვის“. ხვალ ვასაფლავებთ პლუტოკრატიულ ქალაქის საბჭოს და ამ დასაფლავებაში აუცილებლათ მონაწილეობა უნდა მიიღოს დემოკრატიის ყველა მოკეთემ. მოქალაქის მოვალეობის ღალატი იქნება ამ დღეს განზე დგომა და შორიდან სეირის ცქერა. აქტიური მონაწილეობა საჭიროა. პასიობა მამაკვდინებელია. ვინც ამ ჟამათ ქალაქ გარეთ იმყოფებით, ჩამოდით უეჭველათ და თქვენი ხმა მიეცით ჩვენს სიას № 1.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 28–29 ივლისი).

დროებით მთავრობის დადგენილება.

პეტროგრადი. 26 ივლისი. დროებითმა მთავრობამ თავის კრებაზე მიიღო შემდეგი პროექტები: გადადებულ იქნას 250 000 მანეთი ტეხნიკურ სასწავლებლების მასწავლებელთათვის თათბირების მოსაწყობათ; 300 000 მანეთი ამურის მხრის მცხოვრებთათვის სურსათით დახმარებისთვის; შემოღებულ იქნეს ერობა კოვნოს და ვილნოს გუბერნიებში; მიეცეს სესხათ 2 მილიონი მანეთი ციმბირში ერობის შემოსავლებათ და სხვ.

ბესარაბიის ავტონომია.

კიშინიოვი. ბესარაბიის პოლიტიკურ, ნაციონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლების თათბირმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც აღიარა ბესარაბიის პოლიტიკურ-ტერიტორიალური ავტონომია ყველა ერებისთვის თანასწორი უფლებით. დაადგინეს აირჩიონ კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ამ მაზრის საბჭოს შედგენის საკითხი.

დახმარება პოლიტიკურ ემიგრანტებს.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ დაადგინა მისცეს საგარეო საქმეთა სამინისტროს ორი მილიონი მანეთი პოლიტიკურ ემიგრანტებს, რომლებიც სამშობლოში ბრუნდებიან.

ქაღალდის შესახებ.

პეტროგრადი. ქაღალდის კომიტეტი იტყობინება, რომ გაზეთის ქაღალდის მისაღები ნებართვის მოწმობები მიეცემათ აგვისტოს პირველ რიცხვებში სექტემბერში სახმარ ქაღალდების მისაღებათ.

გაფიცვების წინააღმდეგ.

პეტროგრადი. შრომის სამინისტრო ენერგიულ ზომებს ღებულობს თავიდან აიცილოს პეტროგრადის ლითონის ქარხნების გაფიცვა. შრომის მინისტრის ამხანაგმა გვოზდევმა მოიწვია საუწყებათა შორისო თათბირი, რომელმაც უნდა შეიმუშაოს მექარხნეებსა და მუშებს შორის შეთანხმების პროექტი ახალ სატარიფო ზომების თანახმად. უკეთუ ტარიფი მიიღეს შესდგება ცენტრალური მუშათა შემფასებელი კომისია, სადაც შევლენ მუშათა კავშირების და მექარხნეთა საზოგადოებების წარმომადგენელნი. სანამ კონფლიქტს არ გაარჩევს ეს კომისია, მანამდე არავითარ გაფიცვას ადგილი არ ექნება. პროექტი ორივე მხარემ სავსებით მიიღო.

დამფუძნებელ კრების არჩევნებს ყაზახები ვერ ასწრებენ.

დონის როსტოვი. დროებითი მთავრობის კომისარი ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ უკეთუ 30 სექტემბერს დამფუძნებელი კრება გაიხსნა ტეხნიკურ მოსაზრებით არჩევნებს 17 სექტემბრამდე ვერ მოასწრებენ ყაზახები და დამფუძნებელ კრებაზე თავიანთ წარმომადგენლებს ველარ გამოგზავნიანო.

ზავის წინააღმდეგ.

სტოკჰოლმი. ბონნის უნივერსიტეტის პროფესორებმა და დოცენტებმა გამოაქვეყნეს პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ გერმანიამ განაგრძოს ზავის შესახებ მოლაპარაკება და აღნიშნეს, რომ საჭიროა რუსეთის კონსტიტუციურ მონარქიის და გერმანიის იმპერიის ფედერატიულ წყობილებაზე დამყარება.

საქალაქო არჩევნები.

კალუგა. ქალაქის ხმოსნებათ აირჩიეს სოციალისტური ბლოკის—37 კაცი, ხალხის თავისუფლების პარტიის—17, ბოლშევიკი—7, უპარტიო—2.

უმანი. აირჩიეს 20 სოციალისტი, 10 უკრაინელი, 7 უპარტიო, 5 სიონისტი, 3 მართლმადიდებელ ქრისტიანი, 3 პოლონელი, 2 სახალხო თავისუფლების პარტიის კანდიდატი.

ბორისოგლებსკი. ქალაქის თავად აირჩიეს ცნობილი რევოლიუციონური მოღვაწე მიაგკოვი.

პენზა. საქალაქო არჩევნებში ხმების დიდი უმეტესობა სოციალისტურმა ბლოკმა მიიღო.

სტოკჰოლმის კონფერენცია.

ლონდონი. მიღებულ იქნა სტოკჰოლმის კონფერენციის მუშაობის წესრიგი. ყოველი მებრძოლი სახელმწიფოს დელეგაცია, რომელიც კონფერენციაში მონაწილეობას იღებს, ვალდებულია წარადგინოს საგანგებო მემორანდუმი, რომელსაც გაარჩევს საგანგებო კომისია, შემდეგ მოახსენებს კონფერენციას და შეეცდება მეომარი მხარეები შეათანხმოს ერთხმად გადაწყვეტილი რომელიმე საკითხი სავალდებულოა კონფერენციის ყველა მონაწილესათვის. ისეთი საკითხები, რომლებიც უთანხმოებას გამოიწვევენ, ხელახლა დაისმება ნაციონალურ ჯგუფებში განსახილველად.

პარიზი. 20 ივლისს როცა პალატის სხდომაზე სტოკჰოლმის კონფერენციის საკითხი ირჩეოდა, კომპერმორელმა განაცხადა, რომ მას არ სწამს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის გულ-წრფელობა. შემდეგ მან გამოაქვეყნა ლიბკნეხტის მიმდევართა დადგენილება, სადაც სოციალისტთა მოქმედება კონფერენციის მოწვევის საკითხში დაგმობილია. მან სთქვა: ოფიციალურ ნაწილს გერმანიის ს. დემოკრატიისას სურს ისეთი ზავი, როგორიც მოითხოვენ გერმანიის იმპერიალისტები. 1914—15 წლებში გერმანელი სოციალისტები ზავის წინააღმდეგი იყვნენ, ვინაიდან მათი აზრით, გერმანია დასუსტდებოდა მაშინ, ახლა ზავის მომხრენი არიან, ვინაიდან მთავრობა ლაპარაკობს ასე. ისინი მთავრობას უჭერენ ყველაფერში მხარს და ასეთი სოციალისტების სამშვიდობო კონფერენციაზე დაშვება საშიში საქმე იქნებოდა, ეს ლიბკნეხტის, ამ ჭეშმარიტი სოციალისტის და მათი მიმდევრების შეურაცხყოფა იქნებოდაო.

სტოკჰოლმი. როგორც გაზეთები იუწყებიან, კონფერენციაზე წამსვლელთათვის ბილეთების მიცემის საქმე კვლავ გაურთულებია გერმანიის მთავრობას.

ომის დეპეშები

(პეტ. ტელ. სააგ. 27 ივლისი.)

პეტროგრადი. ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით, სოფ. სემერინკას რაიონში ხანგრძლივ საარტილერიო სროლის შემდეგ მტერმა იერიშები მოიტანა და ჩვენი პოზიციების ერთი ნაწილი დაიკავა, მაგრამ კონტრ-იერიშები მივიტანეთ და დაკარგული ადგილები კვლავ უკან დავიბრუნეთ. ბაროვის მიმართულებითაც, ბოლდურის რაიონში მტრის მოწინავე რაზმები გავფანტეთ. ზბოროვს დასავლეთით, სოფ. ივაჩევის რაიონში მტერმა ჩვენ მოწინავე რაზმებს ოდნავ უკან დაახევინეს. მდ. ზბრუჩის რაიონში, სოფ. ბარიშკოვცასა და ვიგოდას მიდამოებში მტერზე იერიშები მივიტანეთ და ისინი გამაგრებული ადგილებიდან გავრეკეთ. ამ ბრძოლის დროს ტყვეთ წამოვიყვანეთ 7 აფიცერი და 300 ჯარისკაცი ხოლო ხელთ ვიგდეთ 4 ტყვიის მფრქვეველი.

დანარჩენ ფრონტზე მოწინავე რაზმები იბრძვიან.

რუმინიის ფრონტზე, კიმპოლუნგისა და ლამენტელის შუა მტრის იერიშების დიდი ნაწილი მოვიგერიეთ, მხოლოდ სოჩის სამხრეთ-დასავლეთით მტერმა რამდენიმე მაღლობი დაიკავა. კიმპოლუნგის გზატკეცილის ორსავ მხარეს ჩვენმა ჯარმა აღმოსავლეთით დაიხია. უკან დავიხიეთ აგრეთვე ფოკშან-მერეში რკინის გზის რაიონში. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

კავკასიის ფრონტზე, ხოშამის რაიონში ქურთთა რაზმები გავფანტეთ. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

პარიზი. 26 ივლისი. მდ. ენის ფრონტზე სასტიკი საარტილერიო სროლა სწარმოებს. აქ მტერი შეეცადა ვოკლერისა და კალიფორნიის მაღლობებთან მდებარე პოზიციებს მიახლოებოდნენ, მაგრამ ცდამ ამაოთ ჩაიარა. თავლების ზემო ნაწილებში, სანმიჰელის ჩრდილოეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

ლონდონი. 26 ივლისი. საფრანგეთის ფრონტზე ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა, ყველგან ჩვეულებრივი საარტილერიო სროლაა.

№1

Голосую за списокъ

Россійской Соціалъ-Демократической Рабочей Партіи.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

ՌՈՒՍԱՍՏԱՆԻ ՍՈՑԻԱԼ-ԴԵՄՈԿՐԱՏԱԿԱՆ ԲԱՆՎՈՐԱԿԱՆ ԿՈՒՍԱԿՑՈՒԹԻՒՆ.

روسیه اجتماعیون عامیون فعله فرقه‌سی

რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიამ გამოსცა ზემო მოყვანილი ბარათები. **ბარათები დაბეჭდილია წითელი ასოებით.** ყველა მუშამ, ყველა ჯარისკაცმა, ყველა მოქალაქემ ზემო აღნიშნული ბარათი უნდა ჩადოს იმ ბეჭედ-დაკრულ კონვერტში, რომელიც მას ფოსტალიონებმა მიუტანეს. ეს კონვერტი შეინახეთ საარჩევნო დღისათვის. 30 ივლისს ამ კონვერტს ჩააგდებთ საარჩევნო ყუთში იმ ადგილებში, რომელიც ნაჩვენებია საარჩევნო ბარათზე.

ფოსტალიონები კონვერტებთან ერთათ არიგებენ საარჩევნო ბარათებს (избирательная карточка). ეს ბარათებიც შეინახეთ არჩევნების დღისათვის და იქ წარადგინეთ შესვლისას. უამისოთ ხმის მიცემა არ შეიძლება.

არც ერთი ხმა სხვა პარტიების სიას. ხმა მიეცით რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის სიას № 1-ს.

ახალი ამბები

კიდევ საარჩევნო ხრიკები. ჩვენი გაზეთში არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, თუ რა სამარცხვინო ზომებს მიმართავენ დაშნაკელები, რომ რაც შეიძლება მეტი ხმა ძალათ შეიძინონ თავის სიას. ახლა დაშნაკელებს ჩვენი ფედერალისტებმაც მიბაძეს, ისინიც ცდილობენ საარჩევნო ბრძოლაში არ ჩამორჩნენ თანამოძმე დაშნაკელებს. ფედერალისტები დადიან სოფელ-სოფელ და დახურული კონვერტებით ჰყიდიან ამომრჩეველთ თავის სიას. ანჩისხატისა და ბეჟუთოვის ქუჩაზე მცხოვრებთ თურმე ჩამოურიგეს სოციალ-დემოკრატების სია № 1 და მის მაგივრათ დაბეჭდილი კონვერტები გადასცეს. ამის შემდეგ ჩამოუვლიათ ნაციონალ-დემოკრატებს, მაგრამ ამომრჩევლებმა იუარეს მათ უპასუხეს, ჩვენ უკვე მივიღეთ დახურული კონვერტებიო. ნაციონალ-დემოკრატებს გაუხსნიათ კონვერტები და შიგ აღმოჩნდა ფედერალისტების სია № 5. ეს გახსნილი კონვერტები გუშინ შემოიტანეს ჩვენს რედაქციაში. ნუ თუ შესაძლებელია ამაზე მეტი უტიფრობა და თავხედობა?.. მაგრამ ქართველ ამომრჩეველთათვის აქ გასაკვირი არაფერია, ისინი კარგათ იცნობენ ჩვენებურ ფედერალისტებს და იქედან ხვალ, არჩევნების დროს, ერთხელ კიდევ გასცემენ ღირსეულ პასუხს მათ ასეთ სამარცხვინო საქციელს!.. ბევრს მათგანს საარჩევნო ბეჭედ-დაკრული კონვერტები აქვთ. საინტერესოა როგორ მიიღეს ამდენი კონვერტები ამ ვაჟბატონებმა? ან იქნება აქ ერთნაირი „პოდლოგთან“ გვაქვს საქმე!

◆ **საარჩევნო სამზადისი.** 28 ივლისს, რ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტის მიერ ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში მოწყობილ იქნა მიტინგები. ილაპარაკეს საქალაქო არჩევნებზე რუსულად, სომხურად და თათრულად. ორატორებმა მკაფიოთ დაუსურათეს დამსწრეთ ძველი თვითმართველობის მოღვაწეობა ამასთანავე აღნიშნავდნენ, რომ ერთად-ერთი პარტია, რომელიც დაიცავს ყველა მოქალაქეთა ინტერესებს და განსაკუთრებით გააუმჯობესებს მშრომელი მასსის მდგომარეობას, ეს სოციალ-დემოკრატიული პარტიაა და ამისათვის მოუწოდებდნენ ყველას მისცენ ხმა ს.-დ. პარტიის № 1. მიტინგებს აუარებელი ხალხი დაესწრო, საზოგადოება დიდი ყურადღებით ეკიდებოდა საქალაქო არჩევნებს. ამასთანავე გამოირკვა, რომ ყველას აქვს სურვილი ხმა მისცეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიას № 1.

◆ **ჯარის კაცთა რეზოლიუციები.** 21, 22 და 23 ივლისს მოხდა თფილისის გარნიზონის სხვადასხვა ნაწილების კრება. ჯარისკაცებმა იქონიეს მსჯელობა პეტროგრადში მომხდარ ამბებზე, სახ. დუმის წევრთა, კერძოთ მასლენიკოვის გამოსვლების შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ყველა კრებაზე გამოიტანეს რეზოლიუციები, რომელშიაც მოითხოვენ სახ. დუმის გარეკას, მასლენიკოვის პასუხისგებაში მიცემას. ამასთანავე ჯარისკაცები მოუწოდებენ ყველას—მჭიდროთ შემოკრბნენ მ. ჯ. და გ. დეპუტატების საბჭოს ირგვლივ და ყოველგვარი საშუალებით ხელი შეუწყონ რევოლიუციის გამარჯვებას.

◆ **საჭიროა გადამწერლები.** დამფუძნებელ კრებისათვის აღწერის მოსახდენათ თფილისის გუბერნიაში საჭიროა არიან გადამწერლები (ვაჟები და ქალები) უპირატესობა სტუდენტებს და აღწერაში დახელოვნებულ პირებს მიეცემათ. მსურველთ ჩაწერა შეუძლიათ „ერთობის“ კანტორაში (გოლოვინის პრ., № 12), დილის 9—2 საათამდე და საღამოს 6—7.

◆ **ჯარისკაცთა განთავისუფლება.** კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის განმარტების თანახმად 1 ოქტომბრიდან უნდა განთავისუფლდნენ 1896—97 წ.წ. გაწვეული სათადარიგო ჯარისკაცები. 1895 წ. გაწვეულ სათადარიგო ჯარისკაცებს განთავისუფლებენ, როცა მათ 43 წ. შეუსრულდებათ.

◆ „ფაიქარის“ სასარგებლოთ 23 ივლისს გამართულ საღამოდან წმინდა შემოსავალი დარჩა 409 მან.

◆ **აჯამეთ ბაღდათის რკინის გზა.** თფილისში ჩამოვიდა სოფ. დიმის საზოგადოების დელეგაცია, დელეგაციას დავალებული აქვს იშუამდგომლოს ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტის წინაშე, რომ შეცვლილ იქნას აჯამეთ ბაღდათის რკინის გზის პროექტი და გზა გაიყვანონ სადგურ სვირიდან და არა სადგ. აჯამეთიდან. რკინის გზა გაივლის მჭიდროთ დასახლებულ სოფლებში (როდინაული, ობჩა) და ხალხს სარგებლობას მოუტანს ცხოვრებით.

◆ **სენაკის რაიონის მასწავლებელთა საყურადღებოთ.** საორგანიზაციო ბიურომ უკანასკნელ სხდომაზე, რომელიც მოხდა 27 ივლისს, გადაწყვიტა მოაწყოს ქ. ახალ სენაკში სახალხო მასწავლებელთათვის საზაფხულო კურსები 7 აგვისტოდან. მასწავლებელთ მიეცემათ უფასოდ ბინა (ულოგინოდ) ჩაი, შაქარი და პური. მსურველნი უნდა გამოცხადდნენ 7 აგვისტოს ახალ-სენაკის უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის შენობაში. საორგანიზაციო ბიურო.

◆ **ყრილობა** 27 ივლისს თფილისში გაიხსნა მეწყალეების ყრილობა.

◆ **115 წლის მოხუცი.** სოფ. ზედა-საქარიდან გვატყობინებენ: აქ ცხოვრობს 115 წლის მოხუცი ქათამაძე-ფერაძისა. მოხუცს ყური სმენა და ცოტა თვალთა ხედვაც აკლია. ფიზიკურ შრომას იოლათ იტანს. ახსოვს მზის დაბნელება და სხვა ღირსშესანიშნავი ამბები.

◆ **ახალი წიგნი.** კანტორა „განათლებამ“ მიიღო გასაყიდათ ვ. ლევიცკის წიგნაკი: „რა უნდა სოციალდემოკრატებს“, თარგმანი ვ. ნონიძისა.

◆ **ინტერნაციონალური კონცერტი.** დღეს, საღამოს 9 ს. ავლაბრის თეატრ „პალასში“ ადელხანოვის ქარხნის მუშათა მომღერალი გუნდი მართავს დიდ სახალხო ინტერნაციონალურ კონცერტს.

◆ **ახალი სამკითხველო.** 23 ივლისს არსენალის შენობაში გაიხსნა უფასო წიგნსაცავ სამკითხველო. სამკითხველოში მოიპოვება სხვადასხვა მიმართულების ყოველგვარი გაზეთები და წიგნები, რუსულ, უკრაინულ, ქართულ და სომხურ ენაზე.

◆ **გაზეთის გაწერა.** პავლე ბათიანმა სამი თვით გაზეთი „ერთობა“ გაუწერა სოფ. დერჩის სამკითხველოს.

◆ **გორის ჯიბიშის კოოპერატივ.** „ანგარიშა“ გაუწერეს ჩვენი გაზეთი 1 იანვრამდე ძმებმა ალექსი და ვანო ნიკოლოზის ძე გოგვეიძეებმა.

◆ **სამგლოვიარო წერილი.** უღრმეს მწუხარებას გამოვსთქვამთ და ცხარე ცრემლებით დავსტირით მუშათა საქმისათვის თავდადებულ მებრძოლის, ძვირფას ამხანაგის გიორგი მარსაგოვის გარდაცვალებას. მუხლს ვიდრეკთ მისი ცხედრის წინაშე. მოწაფეები: გრიშა აფურგანიძე, შალვა ჯორბენაძე და ზოსიმე ჩხეიძე.

— ჩვენ, ალექსანდროპოლში მყოფი ამხანაგები მწუხარებას გამოვთქვამთ გულწრფელ და შეგნებულ ამხანაგის იოსებ ლ. წულაიას დაკარგვის გამო. იოსების ხსოვნის აღსანიშნავათ მის სოფელ ხუნჯულორის სამკითხველოს ვწირავთ ალ. ყაზბეგის თხზულებათა სრულ კრებულს. ამხ. პ. მ—ძე.

— უღრმეს მწუხარებას გამოვსთქვამთ მუშათა საქმისათვის დაუღალავ მებრძოლ გიორგი მარსაგოვის უდროოთ გარდაცვალების გამო. დაუვიწყარი იქნება მისი ხსოვნა ჩვენ გულში. მუხლს ვიდრეკთ მის ცხედრის წინაშე. მე 219 პოლკის 1 როტის ქართველი ჯარისკაცები: გ. მ. ჯავრისიშვილი, ბ. თ. ქუთელი, შ. ნ. სვანიძე, თ. მ. კორაშვილი, მ. დ. ნაკაშიძე, ა. მ. ტუხიშვილი ვ. ი. კოპალეიშვილი.

კრებები და მიტინგები.

დღეს, ალექსანდრის ბაღში შესდგება დიდი მიტინგი თფილისის ყველა პროფესიონალურ კავშირთა წევრებისა. დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

— დღეს, საღამოს 7 ს., სახალხო სახლში გაიმართება მიტინგი, ილაპარაკებენ მიმდინარე მომენტზე და საქალაქო არჩევნებზე. მიტინგზე შესვლა უფასოა.

— დღეს, საღამოს 7 ს., მე-3 სამომრიგებლო განყოფილების შენობაში (ტურგენევის ქ.) დანიშნულია რ. ს. დ. მ. პ. მე 9 სამილიციო უბნის საარჩევნო კომიტეტის წევრთა კრება.

მოქალაქენი.

ამ დღეებში თფილისის სამხედრო საკონტროლო პალატაში შემოვიდნენ კადეტები და მოითხოვეს, რომ ჩვენ მათი სიისათვის მიგვეცა ხმა. თან იმუქრებოდნენ, თუ სოც.-დემ. მიეცით ხმა ან სხვა სოციალისტურ პარტიების სიებს—მაშინ ზომებს მივიღებთ თქვენს წინააღმდეგო. ამ გვარათ თავისუფალ არჩევნებს არა თავისუფლად ხდიან ესენი და ძალას ხმარობენ ამომრჩევლებზე. ჩვენ ზემოხსენებულ დაწესებულებაში მოსამსახურე 25 ჯარისკაცი პროტესტს ვაცხადებთ ამათ წინააღმდეგ და ხმა მაღლა ვაცხადებთ, რომ ყოველგვარი ასეთი ძალადობა უნდა დაგმოს ყველა შეგნებულმა ამომრჩეველმა. თუ რაგვარი დემოკრატიული პარტიაა კადეტების პარტია—ეს ჩვენ დიდი ხანია ვიცით. მათი დაპირებები და მუქარა ჩვენ გზას ვერ დაგვიბნევს. ჩვენ ყველანი ხმას მივცემთ მშრომელი ხალხის ინტერესების ჭეშმარიტ დამცველ პარტიის სიას № 1.

ჯ. ძ. ხუფი ლიკ—შვილი.

პროვინციის ქრონიკა.

ძ. ხონი. ორშაბათს, 26 ივლისს ხონში მოხდა კრება ხონის რაიონის მომხმარებელ საზოგადოებათა წარმომადგენლების. კრების მიზანი იყო ხონში გამანაწილებელი პუნქტის მოწყობა. ი. ჭიჭინაძის მოკლე მოხსენების შემდეგ, კრებამ აუცილებელ საჭიროებით სცნო პუნქტის მოწყობა და დაადგინა სთხოვოს ქუთაისის საგუბერნიო პუნქტს იშუამდგომლოს ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის წინაშე გახსნას ხონში პუნქტი.

მეორე კითხვათ კრებამ განიხილა კოოპერატივებში ანგარიშების საქმის მოწესრიგება. გამოირკვა, რომ არც ერთ კოოპერატივს, გარდა ხონისა ანგარიშები ვერა აქვს დაყენებული ჯეროვან დონეზე. ამის გამო კრებამ დაადგინა იწყოს ხონში მოკლე ვადიან კოოპერატიული ანგარიშების კურსები. კურსები გაიხსნება ორშაბათს, 31 ივლისს. კურსებს უხელმძღვანელებენ კავშირის ინსტრუქტორები ვარ. ხუროძე და ივ. ჭავჭანიძე და ხონის კოოპერატივის მოანგარიშე კონ. ირემაძე.

— ხონის კოოპერატივის „იმედის“ გამგეობამ და სარევიზიო კომისიამ მოახდინა ნახევარი წლის ანგარიში. ნახევარი წლის განმავლობაში კოოპერატივს გაუყიდია 253000 მან. საქონელი, საშუალოთ მოუგია 8% ყოველ ხარჯს გარეშე მოგება უდრის 13800 მანეთს.

მეჯვრისხევის რაიონი. (გორის მაზრა). 4 ივლისს შესდგა მეჯვრისხევის საზოგადოების მომრიგებელ კამერის წევრთა რაიონის კომიტეტის და სამი რევოლიუციონურ პარტიების (ს. დემოკრატების, ს. რევოლიუციონერების და ს. ფედერალისტების) წარმომადგენელთა შეერთებული სხდომა. გამოსარკვევი იყო მემამულეთა და მიწის მუშათა შორის ამტყდარი უთანხმოება.

— გლეხთა რწმუნებულებმა წამოაყენეს ერთი პროექტი, თავად-აზნაურთა რწმუნებულებმა კი მეორე. გლეხთა რწმუნებულების პროექტი იყო შემდეგი: გაუქმება ყოველ-გვარ ქრთამისა და ბეგარისა დ წესები, ლალისა, სანახევროდ გაცემული მიწები გაიცეს მეოთხედით, სამესამედო მეექვსედით, სამეოთხედო—მერვედათ და სამხუთედო—მეათედათ. თავად-აზნაურთა რწმუნებულების წამოყენებული პროექტი იყო შემდეგი: ნახევარი—მესამედით, მესამედი—მეოთხედით, მეოთხედი—მეხუთედით, მეხუთედი—მეექვსედით. ამ კითხვების ირგვლივ შექნა დავა. მცირე თათბირის შემდეგ პარტიის წარმომადგენლებმა წამოაყენეს შემდეგი პროექტი: ნახევრის მაგიერ გლეხმა უნდა გადაიხადოს მეოთხედი, მესამედის მაგიერ მეხუთედი, მეოთხედის მაგიერ მეექვსედი, და მეხუთედის მაგიერ მეშვიდედი. სხდომამ მიიღო ეს პროექტი, გარდა თავად აზნაურების ერთი რწმუნებულისა ლ. ხმალაძისა, რომელმაც კრება მიატოვა.

ხვარბეთი (გურია). აქ კვირას 9 ივლისს შესდგა აქაური კოოპერატივი „სიფხიზლის“ წევრთა კრება. უნდა გამოცხადებულიყო ანგარიშები. გამგეობის შესახებ ცუდი ხმები დადიოდა ხალხში, მაგრამ ცილის წამება არ გამართლდა. სამაგიეროთ კრებაზე თავი იჩინა ინტრიგანობამ და ამის მიზეზით კრებამ მუშაობა ვერ დაამთავრა. კრება გადასდვეს შემდეგისათვის.

— აქ ვიღაცეები ავრცელებენ ხმებს თითქო საქონლის ჭირს განგებ ავრცელებენო. საჭიროა ზომების მიღება.

სოფ. ზუბი (სენაკის მაზრა). 14 ივლისს აქ შესდგა სოც.-დემ. ძირითადი ორგანიზაციის წევრთა კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. პ. კვარაცხელია. წევრთა რიცხვი ასზე მეტია. პეტროგრადში მომხდარ ამბების და ჯარის უკან დახევის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ა. აბჯაფარიძემ. ესაუბრა [illegible] ხალხს მიწის საკითხის შესახებ და განმარტა რომ ყველგან სოფლებში დიდის აღტაცებით, ღებულობენ მუნიციპალიზაციას. კრებამ ერთხმათ დაადგინა: გამაგრდეს ადგილობრივი ყველა ორგანიზაციები, დემოკრატიული და პარტიული, შეიკავშიროს ფართე მასსა ამათ გარშემო.

ს. ძიმითი. „დაწყევლის დამგდელსა არ უნდაო“, ნათქვამი დაეც სწორეთ ჩვენზე ითქმის ახლა. ცხოვრების სიდუხჭირისაგან ისედაც ათასგვარად შეწუხებულ ხალხს ახლა ამინდმაც მთლად მოგვითავა ხელი. ჯერ მაისის ბოლო რიცხვებში წვიმები დაიწყო და დღესაც წვიმს. ორი თვე გადის ცა მოწმენდილი არავის უნახავს. ავლიმა მთლად გაანარცხა ბუჩქები. ასე რომ წელს არამც თუ ჩვენ სოფელში, თითქმის მთელ გურიაში აღარ მოელიან კარგ მოსავალს.

სოფ. ქვაბლა (გურია). სოფ. ქვაბლის კოოპერატივმა იყიდა ერთი საპალნე ყველი. სოფლის მილიციონერები ბარნაბ ჯინჭარაძე და ნესტორ ჯინჭარაძე მოვიდნენ და ერთი ამბავი დაათიეს. ყველი ჩვენს კოოპერატივს უნდოდა და თქვენ რატომ იყიდეთო. ნოქარი ყველს არ აძლევდა მათ, მაგრამ ძალას მიმართეს, კოოპერატივს დაეტაკნენ და დაგიჭერთო, იძახოდენ ისინი. შემდეგ ტყვიითაც დაემუქრნენ ნოქარს და ასე ძალათ წაიღეს მილიციონერებმა ყველი, რაც ჩვენი კოოპერატივისთვის მეტათ საჭირო იყო. იმედია ამ ვაჟბატონებს ყურადღებას მიაქცევენ.

სოფ. ჩანჩეთი. (გურია). პატარა სოფელ ჩანჩეთს დღეს დიდი უბედურება დაატყდა თავს—საქონლის ჭირი. ხალხი იღუპება, ისედაც გაძვალტყავებულს უკანასკნელი შარჩენილი საქონელი ხელიდან ეცლება. როგორც ამბობენ აქაური მცხოვრებნი, თ. ტალუშს აქ ხარები მიუყიდია [illegible]. მათ ჭირიანი კამეჩები მოუყვანიათ ხიდის სადგურზე გადასატანათ და ჭირიც აქედან გაჩენილა; ხალხი სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი ვის მიმართონ, ვინ არის მშველელი არ იციან.

ქართლი. ამ ბოლო დროს ქართლში ახალმა მოვლენამ შანტაჟისტობამ იჩინა თავი: ჯარისკაცების ფორმაში გამოწყობილი ვიღაც ნაძირალები დაძრწიან თურმე სოფლებში, თავიანთ თავს დეზერტირების დამჭერ კომისიას უწოდებენ, ემუქრებიან ხალხს და ამრიგათ ფუ-

ლებს სტუმრებს. საჭიროა სოფლის აღმასრულებელმა კომიტეტებმა, საგლეხო საბჭოებმა, ორგანიზაციებმა, მილიციამ და თვით ხალხმა ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას.

სოფ. იტრია. სოფ. იტრიაში იყო მღვდლად ალ. ბეზურიშვილი, რომელიც აღმ. კომიტეტში ჰყავდა საზოგადოებას არჩეული და პატივსაც სცემდნენ, ამ ბოლო დროს მან აღარ ისურვა მღვდლობა და ითხოვა სამსახური ფოსტაში (უწინაც აქ მსახურებდა), მის ადგილას იტრიაში დანიშნეს სოფ. დუმაცხოვის მღვდელი, რომელიც საზოგადოებამ არ მიიღო, რადგან გამოირკვა, რომ ამ უკანასკნელს 400 მანეთი ქრთამი დაუხარჯავს იტრიაში გადმოსვლისათვის. ამ ქრთამის აღებას აბრალებენ ვითომ ბეზურიშვილს. იტრიაში ადგილი ითხოვა მეორე მღვდელმა არჩილ ნებიერიძემ, მაგრამ გაჯავრებულმა საზოგადოებამ არც ის მიიღო. საზოგადოების აზრით — მღვდლათ მიიღებენ იმას, ვინც დაიმსახურებს ამას და ვისიც წარსული არ იქნება ჩირქმოცხებული.

სოფ. ხალთლაშენი. (გორის მაზრა). 15 ივლისს, ღამე გასტეხეს ამ სოფლის კოოპერატივი „სხივი", საიდანაც ქურდებს გაუტანიათ 1,500 მან. ფართლეული. ეჭვი მიუტანიათ სოფელ არადეთის ვაჟიებზე ტატიაძეებზე და დაუტყვევებიათ. როგორც კოოპერატივის გამგეობის წევრებმა გადმოგვცეს, ქურდების აღმოჩენის საქმეში ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი არავითარ ზომებს არ ღებულობს.

სოფ. მეტეხი (გორის მაზრა) 24 ივლისს, ამ სოფლის მცხოვრებმა დავით თათაშვილმა მოჰკლა პეტრე ბებიშვილი. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ეს მკვლელობა სიმთვრალის დროს მომხდარა.

სად. გომი. გომის ნოქრებმა, ხელოსნებმა და ხელზე მოსამსახურეებმა იქონიეს-რა მსჯელობა 9 ივლისის კრებაზე შეიმუშავეს მოთხოვნილებები, აირჩიეს კომისია, რომელმაც მოთხოვნილებანი ცხოვრებაში უნდა გაატაროს.

დ. ხაშური. ხაშურში მცხოვრებმა გლეხმა სოლომონ ლომიძემ 100 მანეთი შესწირა ხაშურში 1903 წელს დახოცილ მუშების ასაგებ ძეგლის ფონდს. შემოწირულებანი შემოდის სხვადასხვა პირებისგანაც. ფულის შეგროვება დაევალა დროებით კომისიას.

ქალ. ფოთი. კვირას, 16 ივლისს, აქ ჩამოვიდა სრულიად რუსეთის ყრილობის დელეგატი ჯარისკაცი გოლდმანი, რომელმაც ჯარისკაცთა კლუბში გააკეთა მოხსენება ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციების შესახებ. მოხსენება შინაარსიანი იყო.

— 19 ივლისს აქ დიდი წვიმა მოვიდა. მთელი ქალაქი წყლით აივსო.

— მ. და ჯ.-კ. საბჭომ ერთ ერთ კრებაზე დაადგინა: სასტიკად აიკრძალოს კარტის თამაში. მიუხედავად ამისა ზოგიერთები კიდევ განაგრძობენ თავის შექცევას.

სოფ. ხონჭიორი. (რაჭის მაზრა). ხონჭიორში გახსნეს კოოპერატივი „შეერთება". ბევრმა მიიღო მონაწილეობა და ფულიც გადიხადეს, თითოეულმა 11 მან. მადლობის ღირსნი არიან ის პირნი, რომელთაც ათას-ათასი მანეთით დახმარება აღმოუჩინეს კოოპერატივს. ასეთები სამია. გამგეობამ ენერგიულად უნდა მოჰკიდოს ხელი საქმეს და დროზე იხსნას გლეხობა ამ სოფლის ღვინო-ვაჭრებისაგან. სოფლის კომიტეტი რომ მეღუქნეებს ღვინის გაყიდვის ნებას არ მისცემდეს კარგი იქნება.

სოფ. ბასილეთი. ეს სოფელი რევოლუციას ჩამორჩა. დღეს ყველგან გაჩაღებულია პარტიული მუშაობა, არსდება პარტიული ორგანიზაციები, იწყობა წრეები და სხვა. ბასილეთში კი ამ მხრივ დღემდის არაფერი გაკეთებულა. ხოლო ამ უკანასკნელ დროს ერთი ამხანაგის მეცადინეობით მოეწყო ორგანიზაცია.

სოფ. რცხილათი (შორაპ. მაზრა). ეს სოფელი ქუთაისს 20 ვერსით ახლავს. სოფელი ძალიან პატარა არის და არავითარი კულტურული დაწესებულება აქ არ არსებობს. 16 ივლისს კაპიტონ გოგსაძის მეთაურობით წარმოდგენა გაიმართა. შემოსავალი 60 მ. 40 კ. მოხმარდა რცხილათის სკოლის შენობას.

პროვინციის ცხოვრება.

ზუგდიდი. 15 ივლისს გაიმართა ზუგდიდის მაზრის კომიტეტის წევრთა კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ექიმი გ. ჭედია.

ამხ. ბ. კალანდარიშვილმა პეტროგრადში 3 ივლისს მომხდარი ამბების შესახებ ილაპარაკა. შემდეგ მანვე მოხსენება გააკეთა იმის შესახებ თუ რა გაუკეთებია პრეზიდიუმს მორიგ კრებამდე.

კამათი გამოიწვია თადი მანკორლსკის მოურავის ვლ. ალშიბაიას გადასახლებამ. ბევრი წევრი აღმოჩნდა წინააღმდეგი გადასახლების და მოითხოვეს მისი დატოვება.

ქურდობამ თუმცა საგრძნობლად იკლო, მაგრამ ზოგიერთი ცნობილი პროფესიონალური ქურდები არ ცხრებიან და რაკი არ იშლიან ეს ბატონები ქურდობას, ამის გამო კომიტეტმა დაადგინა სასტიკი ზომები იქნას მიღებული მათ წინააღმდეგ.

ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტის მოთხოვნით, ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელმა კომიტეტმა მილიციონერების თანხლებით, ქუთაისში გაგზავნა ცნობილი ფილიპე კედია.

ინანი.

— —

ს. ზემო მამათი. (გურია). დღეს იშვიათია ისეთი სოფელი, სადაც კოოპერატივი არ არსებობდეს. არც ზემო მამათი ჩამორჩა სხვა სოფლებს. ორი წელი, რაიც აქ არსებობს კოოპერატიული დუქანი „ანგარიში". წევრები ორასამდეა. კოოპერატივს აქვს თავისი ფურნეც. წელს იანვარში არაჩვეულებრივ კრებაზე გადაწყდა გაიხსნას კოოპერატიული სახარაზო. ესეც მალე სისრულეში მოყვანილ იქნა. კოოპერატიული სახარაზო გაიხსნა და მუშაობაც დაიწყო, სულ ორი სამი თვის განმავლობაში ყოველ ხარჯს გარეშე კოოპერატიულმა სახარაზომ მოიგო სამას მანეთზე მეტი. სახარაზოში მომუშავე ამხ. ს. ხ—ძე რიგიანათ მუშაობს.

მაგრამ დღეს კოოპერატიული სახარაზო დაიხურა. სირცხვილია ერთი ან ორი ვაჭბატონების ხრიკებით კოოპერატივი დაიხუროს.

ლადო ხმინარიელი.

სტამბის ფონდი.

გიგზავნით ათ მანეთს პარტიულ სტამბის ფონდისთვის განსვენებულ დაუვიწყარ ძვირფასი სიმამრის სიმონ გაგუას ხსოვნის აღსანიშნავად.

ჯ.-კ. კონსტანტინე ნიკ—ძე ლელეყვა.

—

ს. ეწერი. ჯაქოუბანში გამართულ მარქსისტულ საღამოს გამგეობისაგან პ. კ—ნიდა ს. შ—ძე მივიღეთ პარტიულ სტამბის ფონდის გასაძლიერებლად 15 მან.

—

მივიღეთ „ერთობის", „ბრძოლის" და „ფიქრის" ფონდის გასაძლიერებლად, ლითონზე მომუშავე მუშებისაგან 30 მან. კიდევ მივიღეთ ამავე გაზეთების სასარგებლოთ თფ. 1 ლ ბრიგადის არტელის მუშებისაგან 15 მან.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბაქოს სამხატვრო სალიტერატურო წრის ბაილოვის განყოფილების გამგეობა მადლობას უხდის მათო კალანდაძისას და ადგილობრივ სცენის მოყვარეებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მათთან, 24 ივნისს ვაგზლის საკრებულო დარბაზში დადგმულ წარმოდგენის გამართვაში, წრის განყოფილების ფონდის გასაძლიერებლად. აგრეთვე მადლობა ყველა იმათ, ვინც ნივთიერი დახმარება გაუწიეს სხვადასხვა სახით.

გამგეობის მინდობილობით მდივანი აქსენტი ვერხამია.

მადლობას უცხადებთ დ. სუჯუნის სცენის მოყვარეთ, რომლებმაც გამართეს წარმოდგენა და შემოსავალი 108 მ. და 95 კ. გადასცეს ადგილობრივ ს. დ. ორგანიზაციას.

ს. მაღნარაძე.

ღრმად მადლობას უცხადებთ ალექსანდრე გიორგის ძე თხილავას და პავლე ანდრიას ძე მანჯგალაძეს, რომლებმაც მოაგროვეს თავიანთ ამხანაგებ-ნაცნობთა შორის ღარიბ ქვიტირის სამკითხველოს სასარგებლოთ 192 მან. და 85 კ. მადლობას ვწირავთ დათიკო მაჭავარიანს 50 მ. და კონსტანტინე მ ჭავარიანს 15 მან. შემოწირულობისთვის აგრეთვე მადლობა ყველა იმათ, ვინც თავიანთი წვლილი არ დაიშურეს სამკითხველოსთვის.

გამგეობის თავმჯდომარე მელქისედეკ ბალავაძე.

ეკ. ნინოშვილის სახელობაზე დაარსებული სკოლის კომიტეტი ღრმად მადლობას უცხადებს ქ. ფოთში ტრანსპორტზე („რუსის და „როსსიის") მომუშავე მუშებს, რომლებმაც შემოსწირეს ხსენებულ სკოლის ფონდის გასაძლიერებლად 100 მან.

სკოლის კომიტეტის თავმჯდომარე გუჯაბაძე.

მადლობას უცხადებთ კომიტე („გვევგიორგი") გლახუნის ძე მგელაძეს და იაგორ ასალიძე დოლიძეს, რომელთაც ქ. ბათომში თავიანთ ნაცნობ მეგობრებში შეაგროვეს ფურცის ჯარის სახ. ლხ სამკითხველოსთვის პირველად 73 მან. მეორედ 43 მან. მადლობა შემომწირველებს.

გამგეობის მინდობილობით სამკითხველოს მოლარე მღ. ერმილ. ჯაველიძე.

სად. შორაპნის რაიონის რკინის გზის აღმასრულებელი კომიტეტი მადლობას უძღვნის ვარლამ ცქიტიშვილს, რომელმაც 1905 წელში შეგროვილი ფული 60 მან. ამ ერთ კავკასიის მოსამსახურეთა და მუშებს შორის შეგროვილი—გიორგი ცქიტიშვილის მიერ—შემოსწირა ამ სადგურის რკინის გზის სამკითხველოს.

აღ. კომიტეტის მოლარე ტ. ცხომელიძე.

ცნობები

ჯარის-კაცთა შესახებ.

ვლადიმერ მიხეილის ძე მ ხარაძე მსახურებდა ქართულ მსროლელთა პოლკში მე-6 როტაში, 1 ვზვოდში, ვთხოვ მის ამხანაგ ჯარისკაცებს მაცნობონ მის შესახებ.

Станція Нигоиты, село Вани кооперат. Сардіону Михайловичу Махарадзе.

— ჯარისკაცი ელიზბარი ივანეს ძე დოლუბაია მსახურებდა კავკასიის ჯარში მე 14 ბატალიონში, მე 6 როტაში. ვთხოვ თუ ვინმემ რამე იცის სად იმყოფება გაგვაგებინოს ამ მისამართით: Кавказская армія 25 кав. стрѣлковый полкъ, 10 ая рота, Виктору Цхадая.

თფილისის საარჩევნო უბნების სია

თფილისი დაყოფილია 83 საარჩევნო უბნად.

პირველი სამილიციო ნაწილი გაყოფილია ათ საარჩევნო უბნად. ათ ადგილას იქნება საარჩევნო კრება ი. ი. ათ ადგილას იდგმება საარჩევნო ყუთები. ეს ადგილები შემდეგია:

1—საარჩევნო უბნისთვის—საბურთალოზე ჭიჭინაძის სახლი.

2—ვაკეში ფანჯარაძის სახლში.

3—სათავად-აზნაურო გიმნაზიაში.

4—საქალაქო სკოლაში, ოლღას ქ. № 52.

5—ქალთა 4 გიმნაზიაში.

6—ქალაქის სკოლაში, ბელინსკის ქ. სახ. გასან-ჯალალოვისა.

7—სამიწისმზომლო სასწავლებელში.

8—1 განყოფილების სასამართლოს შენობაში.

9—განათლების სკოლაში.

10 საბურთალოს თეატრში.

მეორე სამილიციო ნაწილი დანაწილებულია 6 საარჩევნო უბნად.

11—სამეურნეო საზოგადოების შენობაში.

12—არტისტიულ საზოგადოების ზამთრის შენობაში.

13—სახელმწიფო თეატრში.

14—თეატრს „მინიატურში" მელიქ-აზარიანცის სახლში.

15—ზუბალაშვილის ღარიბთა თავ.-შესაფარში.

16—საოლქო სასამართლოს შენობაში.

მესამე სამილიციო ნაწილი გაყოფილია 4 საარჩევნო უბნად.

17—ვაჟთა პირველ გიმნაზიაში.

18—ქალაქის პროფესიონალურ სასწავლებელში, ჟუკოვის ქ. № 9.

19—ვაჟთა მესამე გიმნაზიაში.

20—ქალაქის პუშკინის 2 სასწავლებელში. ბებუთოვის ქ. სახლი აფრიკიანისა.

21—ხელოსანთა სამმართველოში.

22—ვაჭართა ბირჟაში.

23—კათოლიკურ ეკლესიის სკოლის შენობაში.

24—სომხურ საქველმოქმედო საზოგადოების შენობაში.

მეხუთე სამილიციო ნაწილი დაყოფილია 5 საარჩევნო უბნად.

25—სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის კანტორაში მოედანზე.

26—მუსულმანთა აუდიტორიაში.

27—სასურსათო დუქნებში, შიოვისეულ სახლში.

28—პუშკინის სკოლაში სურფსარქისის ქ. ქალაქის სახლში.

29—ტოლლეს ქარხანა.

მეექვსე სამილიციო ნაწილი გაყოფილია 8 საარჩევნო უბნად.

30—მარაშკოს თეატრში.

31—ქალაქის პურის საწყობში, კახეთის ქუჩაზე.

32—სამინისტრო სკოლაში, კახეთის ქ. სახ. № 60.

33—ბარახიანის სახლში—ფერმო ველაბრის ქ. № 25.

34—ტერ-აბრამიანოვის ნავთის საამხანაგო კანტორაში.

35—განმანაწილებელ პუნქტში.

36—ხადეევის თავშესაფარში.

37—კირაკოზოვის სახლში—სკოტობოინის ქ. № 15.

მეშვიდე სამილიციო ნაწილი გაყოფილია 8 საარჩევნო უბნად.

38—საზოგადოება „მეგუს" სკოლაში, კახეთის მოედანზე.

39—მარიანეს ეკლესიის სკოლაში.

40—ველაბრის თეატრში.

41—ცაიტლინის მაღაზიაში ლაზარევის ქ. № 67.

42—სამინისტრო სასწავლებელში სახლი მელიქ ბეგლიაროვისა.

43—ვაჟთა 5-ე გიმნაზიაში.

44—ველაბრის კლუბის ზამთრის შენობაში.

45—ახლად აშენებულ დუქნებში ტერ-ხაჩატურიანის სახლში.

მერვე სამილიციო ნაწილი დაყოფილია 5 საარჩევნო უბნად.

46—1 კომერციულ სასწავლებელში.

47—ჩუღურეთის ქალაქის სკოლაში პანასევიჩის ქ. № 29.

48—მეოთხე განყოფილების სასამართლოს შენობაში.

49—მოლოკანთა სკოლაში, დესიმონოვის მოედანზე.

50—ალტმანის სახლში რკინის გზის ლიანდაგის იქით.

მეცხრე უბანი დანაწილებულია 7 საარჩევნო უბნად:

51—ზაფხულის შენობა ხელოსანთა კლუბისა, მიხაილოვის ქ.

52—კათოლიკეთა ეკლესიის სკოლაში ნიკოლოზის ქ.

53—კომეტის ქარხანაში. ლიუტერანთა ქ.

54—ქალაქის სკოლაში, ჩერქეზოვის ქ. სახ. № 29.

55—ქალაქის კუკიის მეხუთე სკოლაში კრასნოგორის ქ. № 10.

56—წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიის სკოლაში.

57—მუშათა კლუბში, ნადიროვკაში.

მეათე სამილიციო ნაწილი დაყოფილია 7 საარჩევნო უბნად.

58—ქალაქის სკოლაში მიხაილოვის ქუჩა № 156.

59—სეილანოვის ქარხანაში, ელიზავეტის და ბატარეინის ქ. კუთხე.

60—ენფიაჯიანცის ქარხანაში, ვაგზლის ქუჩაზედ.

61—ევარხიალურ სასწავლებელში, ანდრეევის ქ.

62—ავჭალის აუდიტორიაში.

63—არტისტიულ საზოგადოების საზაფხულო შენობაში მიხეილის ქ.

64—სახალხო სახლში კიროჩნი ქ.

მეთერთმეტე სამილიციო ნაწილი დაყოფილია 8 საარჩევნო უბნად:

65—მეტეხელოვის სახლში, ლოტკის ქუჩა სახლი № 24.

66—ბაბა აივაზოვის სახლში ნაძალადევში.

67—ნაძალადევის თეატრში.

68—ქალაქის პურის საწყობში, აფანასიევის ქ. სახ. [illegible] № 44.

69—ანანოშვილის სახლში რაბოჩი და პლოტნიჩნი ქ. კუთხე.

70—ქალაქის სკოლაში, ჩერქეზოვის ქ. სახ. № 100.

71—მოსოლოვის სახლში, ვლადიმირის ქ. სახ. № 67.

72—ამხანაგობა „შუქის" კანტორაში. ჩერქეზოვის ქუჩის გაგრძელება.

მეთორმეტე სამილიციო ნაწილი დაყოფილია 8 საარჩევნო უბნად:

73—ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოების სკოლაში, დიდუბის და დონდუკოვ კორსაკოვის ქ. კუთხე.

74—იპოდრომის შენობაში.

75—რკინის გზის სასწავლებელში, შერემეტიევის ქუჩაზე.

76—სახალხო სასწავლებელში.

77—კაზიოვის ელექტრონის სტანციის შენობაში, ფოთის ქ.

78—კულტურულ კომიტეტში, მუშტაიდში.

79—პეტროშევსკის კომერციულ სასწავლებელში.

80—ავჭალის წყალსადენზედ აბჭალაში.

დანარჩენი სამი უბანი სამილიციო ნაწილების გარეშეა.

81—არსენალი.

82—სამხედრო ჰოსპიტალი.

83—ქალაქის ახალი საყასბოები.

ამომრჩეველს უფლება აქვს ხმა მისცეს მხოლოდ იმ საარჩევნო რაიონში, სადაც ის ჩაწერილი არის. საარჩევნო კრებაზე შესვლისას ამომრჩეველმა უნდა წარადგინოს ვინაობის დამამტკიცებელი საბუთი—საარჩევნო ბარათი. ამ ბარათის წარუდგენლათ საარჩევნო კრებაზე არავინ არ იქნება დაშვებული. საარჩევნო ბარათები ახლა უკვე დაგზავნილია, თუ ვინიცობაა ვინმეს არ მიუღია, უნდა მოიკითხოს შემდეგ ნაწილებში:

ვინც ცხოვრობს:	ბარათებს მიიღებს:
1 ნაწილში	ოლღას ქ. № 52.
2 „	არტისტიულ საზოგადოების შენობაში.
3 „	ქალთა მე 3 გიმნაზიის შენობაში.
4 „	სახელოსნო სასწავლებელში.
5 „	ქალაქის სამკურნალოში (ვორონცოვის ქ.)
6 „	ნადიროვსკის თავშესაფარში (რეტორსკის ქუჩა).
7 „	ველაბრის კლუბის საზამთრო შენობაში.
8 „	1-ლ კომერციულ სასწავლებელში.
9 „	საქალაქო სასწავლებელში (ჩერქეზოვის ქ.)
10 „	სახალხო სახლში.
11 „	სასურსათო კომიტეტში.
12 „	რკინის გზის ტეხნიკურ სასწავლებელში შერემეტიევის ქ.)

საარჩევნო კომიტეტიდან მიღებულ შტემპდასმულ კონვერტში უნდა ჩადოთ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სია № 1 და კონვერტიც უნდა დაბეჭდოთ. ეს შეიძლება გააკეთოს ამომრჩეველმა სახლში, შეიძლება აგრეთვე საარჩევნო კრების დარბაზშიც. ამის შემდეგ ამომრჩეველი დაბეჭდილ კონვერტს გადასცემს პირადათ კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც ამომრჩევლის თანდასწრებით კონვერტს ჩაადებს საარჩევნო ყუთში.

ამხანაგებო და მოქალაქენო! ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის პირველ ნომრის სიას № 1.

„ერთობა"-ზე ქუთათურ ხელის-მომწერლების საყურადღებოთ.

ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი", საიდანაც გაზეთი „ერთობა" ურიგდება ხელის-მომწერლებს, აცხადებს, რომ ვისაც თვის პირველში კანტორაში არ ექნება წარმოდგენილი თვიური ხვედრი ფული ორი მან. მას პირველიდან

გაზეთი აღარ გაეგზავნება. კანტ. „იმერეთი".

ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალური კავშირი

ამით აცხადებს ამხანაგების საყურადღებოდ, რომ ვისაც აქვს კავშირიდან წაღებული საწევრო წიგნაკები აუცილებლად დააბრუნონ კავშირის კანტორაში 31 ივლისს. წიგნები საჭიროა რევიზიისათვის.

ლით. მომ. პროფეს. კავშირის გამგეობა.

აგენტების საყურადღებოთ

კანტორა „განათლება" უკანასკნელად აცნობებს აგენტებს, რომ ვინც ვალს არ გადაიხდის და ფულს არ შემოიტანს, იმათ პირველი აგვისტოდან

გაზეთები არას შემთხვევაში არ გაეგზავნება.

საოლქო კომიტეტის გამოცემანი.

(საოლქო კომიტეტის ბიურო, გოლოვინის პროსპ. № 12).

1. ს. დ. პ. პროგრამა ქართულად	10 კ.
2. ს. დ. პ. პროგრამა რუსულად	10 „
3. ს. დ. პროგრამა სომხურად	10 „
4. ს. დ. პროგრამა თათრულად	10 „
5. მუნიციპალური პროგრამა რუს.	5 „
6. მუნიციპალური პროგრამა ქართ.	5 „
7. ძირს სოც. დემ. ბრაკები რუს.	20 „
8. სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა რუსულად	20 „
9. [illegible] წიგნაკი ქართულად	20 „
10. ოთხი ხმა ქართულად	35 „
11. კომუნისტური მანიფესტი რუს.	20 „
12. კომუნისტური მანიფესტი ქარ.	25 „
13. დემოკრატიული რესპუბლიკა ქარ.	25 „
14. დამფუძნებელი კრება რუსულ.	25 „
15. ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართ.	30 „
16. კრიტიკა აგრარული პროგრამისა პ. მასლოვისა, რუს. ენაზე ფასი	15 „
17. უწყება, მე-6 საოლქო თავყრილობისა (კონფერენციისა) რ. ს.-დ. მ. პ. ქართ. ენაზე ფასი	25 „
18. იგივე უწყება რუსულ ენაზე ფასი	20 „
19. დროებითი წესები ქალაქის საბ. ხმოს. არჩევნებისა ქართ. ფასი	10 „
20. რა უნდათ სოციალ-დემოკრ. რუს.	20 „
21. რა უყოთ მიწას პ. მასლოვისა, რუს.	

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. საფრანგეთის ისტ. 1848 წ. ნ. ჟორდანიასი.

ამასთანავე ვაცხადებთ: პროვინციელ ორგანიზაციებს დავუთმობთ, რომლებიც 50 ცალ ნაკლებს არ გამოიწერს ოცი პროცენტი იქ სადაც ბაგაჟით არ შეიძლება გაგზავნა, არამედ ფოსტით უნდა იქნეს გაგზავნილი, პროცენტი ეთმობათ 15 კ. მანეთზე. ფული უნდა იქნას წინადაწინ გამოგზავნილი, ფასდადებით ბროშურები არავის გაეგზავნება.

ამხანაგებო! გამოიწერეთ ბროშურები, გაავრცელეთ ხალხში, რომ ამით საშუალება მოგვეცეს სხვადასხვა ახალი ბროშურები გამოვცეთ და გავავრცელოთ ხალხში.

ფული და წერილები მოიწერება შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Бюро областного комитета закавк. организацiи Р. С. Д. Р. П. Головинскiй № 12.

თფ. საქონლის საწყობში

იყიდება სხვა და სხვა ბროშურები გამოცემა სახალხო კომიტეტისა. მსურველს შეუძლია მიმართოს ხაშა ჩიჯოვაძეს.

ვყიდი
ჭილოფებს
ხელსაყრელ ფასებში.
(დამზადებული მაქვს 2000 ცალამდე ზომით 2—3 არშინ).
დაკვეთა შეიძლება ასობით და ათასობითაც. ფასებზე მოლაპარაკება პირადათ და წერილობით შემდეგი ადრესით: Ст. Ланчхуты, сел. Чибати Маркову Патараія.

ქუთაისი
ექიმ გ. ი. გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავადმყოფთათვის, ავადმყოფები მიიღებიან დილის 9—12 საათ. და ს. 6—8 ს. საათამდე

ექიმი პ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი
ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. [illegible] ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible] ტელეფ. 15—00.

ქუთაისში
ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე
იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდი. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკი სახლში.

ქ. ქუთაისში.
ექიმი გ. ი. ჩხენკელი
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ექიმი გ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნაშ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19.

ექიმი ივანე თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრიზაცია. ტექნიკური ქუჩა, №

ექიმი გ. გ. მეხაძე
იღებს სადიასტაქრო ავადმყოფებს საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი ხიდის ქუჩა № 67; [illegible] ტელეფონი № 5—77.

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა გაზეთის შესახვევი № 1.